

# საგაზელო

ეროვნული  
ზინური

საერთოული გაზეთი

სუთუაბათი 10 ივნისი 1999 №107 (880)

ფასი 50 თეთრი

## იქნებ გაგაცოტო საქართველო...

ვანტანგ კობალეიშვილთან  
პროტექცია ვერ გაჭრის

## საქართველოს ნაპრები უმბროთი უეიგოსება

ფედერაციამ ბრიტანულ  
ფირმასთან მოკლევადიანი  
კონტრაქტს აფორმებს

## არნახული ტრანსფერი

გადაწყდა, „ლაციო“  
კრისტიან ვიერის  
სანაცვლოდ  
„ინტერისგან“ 50 მილიონ  
დოლარს მიიღებს



## ქართველთა დღე ეპერისტზე

ის ნახევარი საათი  
ჟანგბადის ბალონის  
უწყსრიგობის გამო  
დაგუარგე — გვიამბობს  
თორთლაძე — მის  
აღმოსაფხვრელად მერაბი  
რომ არ დამხმარებოდა,  
იქნებ მწვერვალზე  
ვეღარც ავსულიყავი.



ევრო 2000-ს პირველი ფინალისტი ჰყავს — ჩეხეთი. ევრო 96-ის  
ვიცე ჩემპიონმა შესარჩევ ციკლში შვიდიდან შვიდი თამაში მოიგო  
და პოლანდია-ბელგიის საგზური დაიბევა.  
რევაზ ძოძუაშვილის ლატვიელმა შევირდებმა კი ბერძნებს  
ათენში ზუსტად ის დამართეს, რაც მათ ქართველებს თბილისში

იხილეთ მეორე გვერდი



ბულგარეთი — ინგლისი 1:1. ალან შირერმა სოფის „ლევსკიზე“ ანგარიში მართალია გახსნა, მაგრამ მისმა გუნდმა თამაში ვერ მოიგო

## ქუთაისში ყიფიანს და შალკა 04-ს ელიან

გუშინ ქუთაისის „ტორპედოს“ ხელმძღვანელობამ ახალი მწვრთნელის დანიშვნასთან დაკავშირებული პრესკონფერენცია  
გამართა, სადაც ქუთაისელთა უახლოეს სპარინგ-პარტნიორზეც ითქვა. იმერეთის გუბერნატორ თემურ შაშიაშვილის თქმით,  
ქუთაისის დაძმობილებულ გერმანიის ქალაქ გელზენკირხენის გუნდი, 1997 წლის უეფას თასის მფლობელი „შალკე 04“ ეწვევა.



თემურ შაშიაშვილმა და მიხეილ ქორჭიაძემ ქურნალისტებს „ტორპედოს“ ახალი მწვრთნელი დავით ყიფიანი წარუდგინეს

REUTERS სოფიადან

გურამ დოღვენიშვილის ფოტო



# ასალი პრა, თუ დაპირებული ბასსენება...

სამი კვირაა, ჰოლანდიელი იოჰან ბოსკამი საქართველოში საქმიანობს და ამ მოკლე ხანში უკვე მოასწრო ჩვენებურთათვის საყვარელ ადამიანად ქცევა. მის ხელში ეროვნული ნაკრები კვლავ ქართველების „ოცნების გუნდი“ გახდა. ქომავს ფეხბურთისაკენ გული მიუბრუნდა. იქით თბილისის „დინამოს“ ჩემპიონთა ლიგაში მოხვედრაზე ალაპარაკდნენ. ბოსკამთან ერთად ამაზე ფიქრაც შესაძლებელი გახდა. არადა, სულ რაღაც ერთი თვის წინ ვენერდით, ქართულ ფეხბურთს დამბლა დაცეცო და თითქოს იმედიც გადაგვწუროდა.



ემოციური იოჰან ბოსკამი თავის სტიქიაში

ბლა გამორჩეული ფიგურა, უდიდეს ფეხბურთელებსაც კი ნომრებით მიმართავდა და არა სახელებით. ამიტომაც მიაღწია დიდ სიმაღლებს. ჩვენთან კი იმის ლაპარაკი — მე ასეთი ვარ და ვერავინ შემეცლის, ანგარიში უნდა გამიწიონო, სწორედ მენტალური უმწიფრობის ილუსტრაციაა. საკუთარი თვალთ ვნახე, როგორ ემზადებოდა კლბის მატჩებისთვის სათამაშოდ. კაცი, რომელსაც მსოფლიოს ჩემპიონატზე მოგებული ჰქონდა და სხვა უამრავი ტიტულიც, ბურდუნჯებდა დეიბუტანტებთან ერთად სიქავეცილობა დატოვებ „პაიჯაქსი“ მინდორი. რატომ? ეს ხომ უბრალო, თამაშის წინა მსუბუქი ვარჯიში იყო და თანაც მეორე დღეს ქართველებთან უნდა ეთამაშა, მეტოქესთან, რომელიც

მაგრამ, მეორე მხრივ, გამოცდილ ფეხბურთელებს მან ძმაცკურად დაუტყაუნა მხარზე ხელი და მადლობა გადაუხადა. ნამატჩევს კი თავის მოთამაშეებს აწყნებდა. გამოდის, ბოსკამისათვის დისციპლინა სულაც არ ნიშნავს დიქტატს და ტირანის. მას საქმის კეთებაც შეუძლია და ადამიანებთან ურთიერთობაც. თუმცა, ისე არავე გავევივს, თითქოს უბოსკამოდ ქართული ფეხბურთი კვლავ წარმოგვედგინოს. ერთი კაცის იმედზე ყოფნა ყოველთვის დიდი შეცდომაა და სიკეთე არავისთვის მოუტანია. და კიდევ ერთი. ის, რასაც ბოსკამი აკეთებს, ადრე თავად ქართველებსაც გაუკეთებიათ. ასე რომ, განსაკუთრებული არაფერი ხდება. 1976 წლის დასაწყისში ნოდარ ახალკაცი თბილისის „დინამოს“ უფროს მწვრთნელად დანიშნეს. ამას მშინვე მოჰყვა შედეგი. გუნდმა საბჭოეთის თასი და ორჯერ ბრინჯაოს მედლები მოიპოვა. მანამდე, 1974-75 წლებში, „დინამო“ ცუდ დღეში იყო, კინაღამ საკავშირო უმაღლესი ლიგადანაც გაეარდა. არადა, ჩინებული ფეხბურთელები ჰყავდა: ხურცილავა, მიქუაშვილი, ასათიანი, ნოდარ, ხინგაშვილი, ყიფიანი, გუცაგვი, მაჩაიძეები, ვაგაშვილი. ამით ნებისმიერი ინატრებდა, მაგრამ გუნდი არ არსებობდა. ახალკაცი ველოფერი მარტივად გადაწყვიტა. პირველ ყოვლისა, მოთამაშეების მენტალურად შეცვლა დაიწყო. მიზნად კოლექტიური თამაში დასახა, რომლის დროსაც თავდამსხმელისთვისაც კი დაცვის დახმარება აუცილებელი გახდა. ეს იყო არანახალი ნაბიჯი ქართულ ფეხბურთში. „დინამომ“ არაქართული, ტოტალური ფეხბურთის თამაში დაიწყო, რომლის საფუძველი ძლიერი დაცვით და ყველა მოთამაშის მარტივების კოეფიციენტის გაზრდით განისაზღვრებოდა. იმ დროს თბილისელებს ხშირად აკრიტიკებდნენ კიდეც ზედმეტად დაცვითი თამაშის გამო, მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისი გახლდათ. როცა გუნდური თამაში დალაგდა, შეტევაც გაჩნდა და ქართველებისთვის ჩვეული არტისტიზმიც, მერე კი, ხუთი წლის განმავლობაში, „დინამომ“ ისეთ წარმატებებს მიაღწია, მის ისტორიას რომ არ ახსოვს. ყველაფერი 1981 წელს თასების მფლობელთა თასის მოგებით დაგვირგვინდა. როგორ მიაღწია ამას ახალკაცი? უპირველესად, მკაცრი დისციპლინითა და გუნდში ახალგაზრდა ფეხბურთელების მომრავლებით (ჩივაძე, სულაქველიძე, კოსტავა და შენგელია „დინამოს“ ლიდერები გახდნენ). გამოცდილება და ახალგაზრდული ჟინი ერთმანეთს შეერწყა. არ გეცნობათ დღევანდელი სიტუაცია? ბოსკამიც ხომ იმავეს აკეთებს. ოღონდ ერთი, ასეთი გარდაქმნა რომ მოახდინოს, საქმის კარგი მცოდნე და საკუთარ არჩევანში დარწმუნებული უნდა იყო. ისევ საქართველო-საბერძნეთის მატჩი გავისხნოთ. იმ დღეს მთელმა გუნდმა კარგად ითამაშა, მაგრამ მანც ვინ იყო საუკეთესო? ყველაზე გამოცდილი ქეცბაია და ყველაზე ახალგაზრდა ხინგანიშვილი. ესეც ბოსკამის ფილოსოფიის სიმბოლო, გამოცდილებისა და ახალგაზრდობის შეჯერება. ქეცბაია, საერთოდ, განსაკუთრებული მონდომებით თამაშობს ბერძნების წინააღმდეგ. შაბათს კლასიკური ბურთი გაიტანა, მანამდე კი ბერძნებთან გამართულ ორივე შეხვედრაში გაფრთხილება მიიღო. იბრძოდა და იმტომ. ხინგანიშვილმა კი, კოპალიშვილ-ბოსკამის აღმოჩენამ, კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ საქართველოში უნიჭიერესი თამაშის იზრდება. რაც შეეხება გოჩა ჯამარაულს, ეს მისი საუკეთესო თამაში არ ყოფილა, მაგრამ მინდორზე ნაყოფიერად იმუშავა. ხშირად დაცვის დასახმარებლადაც ჩადიოდა საკუთარ საჯარბოში. უკლებლივ ყველა მოთამაშე იბრძოდა. ესეც კოლექტიური და თანამედროვე ფეხბურთის ჩანასახი. ანუ ის, რაც გვერნდა და ისევ ვისხნებთ. თავის დროზე ახალკაცი საკუთარ ინტუიციას ენდო და საუკეთესო ქართული გუნდი შექმნა. ბოსკამიც ამავე გზით მიდის. ეგებ ეს ქართული ფეხბურთის ხელახალი აღორძინების დასაწყისი იყოს... **სოლომონ გულისაზვილი**

### საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო უწყვეტე

ამ საპიტიხზე ადრეც დაუწერია „სარბიელს“. შეცდომისგან არავინაა დაზღვეული, მაგრამ როცა საქმეს მასიური ხასიათი ეძლევა, ცოტათი უხერხულ ელფერს იძენს და ქომავისა თუ სტუმრის საქილიოც ხდება. ვერ კიდევ ექვსი-შვიდი თვის წინ ეწერა „სარბიელში“, როგორ უსიამოდ ხვდებოდა ყურს ეროვნული სტადიონის ინფორმატორის მიერ გამოცხადებული „დევიდ მუჯირი“, „მაიკლ აშვეთია“, „ლეონ ციტივიშვილი“ და ასე შემდეგ. იმწუთსავე არა, მაგრამ დროთა განმავლობაში გაზეთის რეაქციამ ნაყოფი გამოიღო და ქართველ „დევიდებს, მაიკლებს და ლეონებს“ ნათლობის სახელები — დავითი, მიხეილი და ლევანი დაუბრუნდა.

ამჯერად გაცილებით მძიმე შეცდომებზე გვიწევს წერა — საქმე ისაა, რომ ქართველები არათუ უცხოელ, საკუთარ ფეხბურთელებსაც ვეღარ ვცნობთ და როცა მინდორზე სავლე გამოდის, პავლად ვაცხადებთ, ხოლო პავლეს გატანად გოლს ივანეს ვუთვლით დამსახურებად.

ეს რომ გამონაკლისი და თითხე ჩამოსათვლელი შემთხვევა იყოს, ხმას არ ამოვიღებდით და არც საგანგებო მსჯელობის საგნად ვაქცევდით, მაგრამ ამგვარი რამ (სადაც იმედიც კი) ნამეტნავად მოხშირდა და სათქმელი დროზე უნდა ითქვას.

შორს არ წავალთ. მაგალითად საქართველო — საბერძნეთის ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებების მატჩებისას მოხდარ ფაქტებს დავასახელებთ.

საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების შემადგენლობაში ლევან მელქაძის ნაცვლად მოედანზე შემოსული ოლეგ გველეხიანი „შევიარდენის“ ინფორმატორმა ლადო ბურდულად მოიხსენია, ზუსტად ხუთი წუთის შემდეგ გამოყვანილ ბურდულს კი სულ გველეხიანი უმარა. კეთილგანწყობილი კაცი ალალი ღიმილით იტყვის — ისე, ბურდული და გველეხიანი კი ჰვანან ერთმანეთს, მაგრამ... ფეხბურთელს ზურგზე ნომერი სწორედ ამგვარი რამეებისთვის აწერია და ღმერთმა დავეფაროს, სხვანაირადაც იყოს. მოდი და არკვიე მერე, ნაკრებში შოთა არუელიძემ ითამაშა თუ მისმა ტყუპისცალმა არჩილმა, ანაც „ნივას“ ბომბარდირი ტარიელ კაპანაძეა თუ ავთანდილი — ყველას კი არა აქვს კეთუხე წითელი ხალი.

თავისი სიტყვა ეროვნული სტადიონის ინფორმატორმა და ტაბლომაც თქვეს. სულ სამი გოლი გავიდა 5 იწინის „პაიჯაქეზე“. აქედან ორი ბერძნებმა გაიტანეს და ორივე გოლის ბერძენი ავტორის გვარი შეცდომით გამოაცხადეს რადიოში და დაწერეს ტაბლოზე.

სწორედ დაუდევრობას, აბა, სხვას რას უნდა დავაბრალოთ, ფრანცესკოსის გატანლი რომ მავროენისის, მახლასისა კი — ნინიალის რომ მიაწერეს.

თავისი ვიტესური კარიერის მანძილზე გოლები კი არ აკლია ნიკოს მახლასს და ანდრეას ნინიალისიც ჩვენი, თბილისი გაზრდილი ბიჭია, მაგრამ მთავარი სიმართლეა — სიმართლეს ვერსად წავეუვადთ, ბურთები მახლასსა და ფრანცესკოსსმა გაიტანეს და რადიოშიც ასე უნდა თქმულიყო, ტაბლოზეც ასე უნდა დაეწერათ.

აბა, რამდენიც უნდა ვიძახო, ანდრე ავასი ვარ-მეოქი, დამიდასტურებს ბრუქ შილდსი — მართალი ხარ, სულ ორიოდ თვის წინ შენი ცოლი ვიყავი?! **კონსტანტინე გოგიფილი**



დავით ყიფიანი: დინამოს გზაობაში მიხედობა დავუპირისპირდები

ცივილიზაციულ და განვითარებული საფეხურით კვდნაში ასეთა...

გუშინ ქუთაისის "ტორპედო" და მისმა ხელმძღვანელებმა ეს ტრადიცია...

თავიდან სიტყვა თემურ შაშიაშვილმა ითხოვა, რომელმაც ეს თქვა: უპირველეს ყოვლისა, მინდა, პირადად მივულოცო...

შემდეგ ბატონი თემური დავით ყიფიანის მწვრთნელად დანიშნვის ფაქტსაც შეხვ. თავს უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობ...


მართლაც შეამატა, რომ დავით ყიფიანთან ერთად მომიწევს მუშაობა. ვიდრე მის პასუხს შევიტყობდი, ვდღე...

დავით ყიფიანი ბევრ ლაპარაკს ბევრი საქმე სჯობს. უკეთესი იქნება, თუ მეტი ვილაპარაკებო, როცა ნდობა გავეიმართლებო.

ამ კომენტარების შემდეგ ჟურნალისტთა ჯერიც დადგა. კითხვების ადრესატი მირითადად ყიფიანი გახლდათ...

ბატონო დავით, ვის დაიხმართ "ტორპედოს" გაწვრთნაში? მწვრთნელთა შტაბი უცვლელი დარჩება...

მწვრთნელები გზავლიან. მჯერა, მათთან ერთად წარმატებას მივაღწევთ. წარმატება რაც ჩვენთვის უმთავრესია...



მიხეილ ქორქია და დავით ყიფიანი ნაპრესკონფერენციებს

ნების უფლება არ გვაქვს, ეს წარუმატებლობა იქნება. უკეთესი მიღწევა კი ჩემიონობაა.

კონტრაქტი თუ გაქვთ ოფიციალურად გაფორმებული?

ოფიციალური კონტრაქტი ჯერ არ გაფორმებულია, თუმცა ეს წმინდა ფორმალუბაა. ჩვენ მთავარი, სიტყვიერი შეთანხმება, გვაკავშირებს ერთმანეთთან...

ყველა მწვრთნელი კლუბის ხელმძღვანელობას მისვლამდე თავის პირობებს უყვანს. ალბათ, ამ შემთხვევაშიც ასე იქნება.

დავით ყიფიანი: მოდით, რეალურად შევხედოთ სიტუაციას. ქრისტე დამერი არც მე ვარ და არც თემურ შაშიაშვილი, რომ უცბად ყველაფერი რადიკალურად შეცვალა...

დაცაა ბაზაზე შეუდგებიან კონსტრუქციულ სამუშაოებს. ასე თანდათანობით გავაკეთებთ ყველაფერს.

მიხეილ ქორქია: მე და ბატონმა თემურმა სერიოზულად ვისაუბრეთ. იგი თანადგომას შემპირდა. განზარაბული გვაქვს სტადიონის რეკონსტრუქცია, ბაზაზე შევაკეთებთ...

მოგესვენებათ, გვიცი კილაძე 23 800 მაყურებელს იტყვს, ინდივიდუალური სკამი კი აქამდე სულ 3 ათასი იყო...

თემურ შაშიაშვილი: ბევრი ფიქრობს, რომ დღეს ქართულ სპორტში ფული არ იდება. მერწმუნეთ, სპორტში საკმარისზე მეტი თანხები იხარჯება...

თი გუნდის შენახვას, როგორც "ტორპედოს", ამიტომაც იყო, ორი წლის წინ კლუბის აქციები რომ გავეციდეთ...

როგორც ვიცით, თითქმის გადაწვეტილი იყო "ტორპედოსთვის" ახალი უცხოური სპონსორის საკითხი...

მიხეილ ქორქია: მართალია, უცხოელი პარტნიორი შევულებული გვაქვდა, რომელიც გუნდში დიდი ინვესტიციების ჩადებას აპირებდა...

ბატონო დავით, როგორ იქნება საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან თქვენი მომავალი ურთიერთობა?

ნაკრებს და მის ხელმძღვანელობას რითაც შევძლებთ, იმით დავეხმარები, თუმცა არა სელექციონერობით. სკატუბა ჩემი საქმე ნაღდად არ არის...

გუნდის მზადება როდის დაიწყება? "ტორპედო" 17 ივნისს შეიკრიბება და ვარჯიშსაც შეუდგება...

"ტორპედოში" ჩემი მისვლით დისციპლინა ძალიან გამკაცრდება. იმ დროს, როცა გუნდს ან თეორიულ-ფიზიკური ვარჯიში ექნება, ანაც დასვენების დრო...

ბევრი იქნებ ჰგონია, რომ "ტორპედოში" მისვლით "დინამოს" დაუპირისპირდები, მაგრამ ეს ასე არ არის. როგორ შემიძლია, მას შემდეგ, რაც "დინამოში" ასეთი პერიოდი გავატარე...

ბატონო დავით, როგორ მიყვარს "ტორპედოში" მისვლა? მის დასახლებული მდებარეობა უფრო კომფორტულია, სადაც უფრო კარგად ვიქნები. უფრო მისვლაზე უფრო ვიქნები...

ბატონო დავით, როგორ შეამოწმებთ მომზადების დონას? ბატონო დავით, როგორ შეამოწმებთ მომზადების დონას?

ბატონო დავით, როგორ შეამოწმებთ მომზადების დონას? ბატონო დავით, როგორ შეამოწმებთ მომზადების დონას?

შემატე პეტიციონერი ნაბრკბი ბრიტანულად შეიმოსება

პრაქტიკულად გადაწვეტილია — საქართველოს ნაკრები ბრიტანულ ფორმას "შემოსოს" სამოსის მობრუნებას...

ბრიტანულ ფორმასთან კი ჩვენებურები კონტრაქტს არ გააფორმებენ. ბუნებრივად, ტურნები, მათისურები, ბურთები და სხვა საჭირო ატრიბუტიკა თურმე უფრას ვეშქაში...

ერტი სიტყვით, ნაკრების ახალი სპორტული ფორმით შემოსვის საკითხიც გადაწყვეტილია შეგიძლიათ ჩათვალოთ და ისიც, რომ მომავალი წლიდან ჩვენი უროვნული გუნდის წევრები უფრო ინტელიგენტურად გამოეწვიებიან...

კომპანია ინსასარქიმ

ჯერ ტალინი

საპარტიზოს ეროვნული გუნდი უახლოეს ოფიციალურ მატჩამდე ერთ ამზანაგურ თამაშს რომ ჩაატარებს, უკვე გადაწყვეტილია. ჩვენები 18 აგვისტოს ტალინიში, ესტონეთის ნაკრებს შეხვდებიან...

დავით ყიფიანი: დინამოს მხოლოდ მინდორზე დაკუპირისპირდება



მიხეილ ქორქია და დავით ყიფიანი ნაპრესკონფერენციებს

სიცილიზმებზე და განვითარებულ საფეხებზე... კლუბებისთვის ეს კოტა უცხო ხილია...

გუშინ ქუთაისის "ტორპედო" და მისმა ხელმძღვანელებმა ეს ტრადიცია დაარსა...

უპირველეს ყოვლისა, მინდა, პირადად მივულოცო ქუთაისის "ტორპედოს"...

შემდეგ ბატონი თემური დავით ყიფიანის მწვერთვლად დანიშნის ფაქტსაც შევხ.

თავს უბედნიერეს ადამიანად ვგრძნობ...

შემდეგ სიტყვა მიხეილ ქორქიას გადაეცა.

მართლაც მეამაყება, რომ დავით ყიფიანთან ერთად მომიწევს მუშაობა...

დავით ყიფიანი: ბევრ ლაპარაკს ბევრი საქმე სვობს...

ამ კომენტარების შემდეგ ჟურნალისტთა ჯერიც დადგა...

ბატონო დავით, ვის დაიხმართ "ტორპედოს" გაწვრთნაში?

ნების უფლება არ გვაქვს, ეს წარუმატებლობა იქნება...

კონტრაქტი თუ გაკეთდეს თუ არა, დინამოს მხოლოდ მინდორზე დაკუპირდება...

თემური შაშიაშვილი: ბევრს შეიძლება ჰგონია...

თემური შაშიაშვილი: ბევრს შეიძლება ჰგონია, რომ ყიფიანის "ტორპედოს"...

ყველა მწვერთვლი კლუბის ხელმძღვანელობას მისვლამდე თავის პირობებს უყენებს...

დავით ყიფიანი: ბოლო, რეალურად შევხედოთ...

თემური შაშიაშვილი: ბევრი ფიქრობს, რომ დღეს ქართულ სპორტში ფული არ იღება...

თი გუნდის შენახვას, როგორც "ტორპედოს"...

როგორც ვიცით, თითქმის გადაწვეტილი იყო...

ბატონო დავით, როგორ იქნება საქართველოს ეროვნულ ნაკრებთან შეხვედრა...

ნაკრებს და მის ხელმძღვანელობას რითაც შეეძლება...

გუნდის მზადება როდის დაიწყება?

"ტორპედო" 17 ივნისს შეიკრიბება და ვარჯიშსაც...

"ტორპედოს" ჩემი მისვლით დისციპლინა ძალიან გამკაცრდება...

ბევრს იქნებ ჰგონია, რომ "ტორპედოს" მისვლით...

ბრეკონფერენცია კი თემური შაშიაშვილმა დაასრულა...

"ტორპედოს" წლებზედგა წარმატებამ ინტერეთის მხარეში...

შპს "საქართველო" გულგრილი ნაბრძოლი ბრიტანულად შეიქმნა

პრაქტიკულად გადაწყვეტილია - საქართველოს ნაკრები ბრიტანულ ფორმაში...

ფეხბურთის ფედერაციის ხელმძღვანელობა რამდენიმე დღეში უფასო თავად ესტუმრება...

კობა ინსასარიძე

ჯერ ტალინი

სამართალმემოვნი ყოფილი გუნდი უახლოეს ოფიციალურ მატჩამდე ერთ ამხანაგურ თამაშს რომ ჩაატარებს...

კობა ინსასარიძე

EURO 2000
საქართველოს მსხვერპლი
VIII ჯგუფი

იუგოსლავია 4:1 მალტა
0:1 სალიბა (6), 1:1 მიატოვიჩი (34), 2:1 მილოშევიჩი (48), 3:1 კოვაჩევიჩი (74), 4:1 მილოშევიჩი (90)
იუგოსლავია: კრალი, მირკოვიჩი, ჯორჯიჩი, იოკანოვიჩი, ჯუკიჩი, საველოვიჩი, ნადი (მილოშევიჩი 46), მიატოვიჩი, კოვაჩევიჩი, სტოიკოვიჩი (დრულოვიჩი 77), სტანკოვიჩი (გროზდიჩი 63)
მალტა: ბარი, კეტკუტი, ბუმაჯარი (კუტაბიარი 80), საიდი, დეზონო, რუტიგი, ბუზუტილი, სალიბა, კარაბოტი, კამილერი (ბირნატი 64), ნვოკო (სულტანა 83)

იუგოსლავია მალტას გინდ სტუმრად შეხვდეს, გინდ შინ, გინდ საბერძნეთში, მაინც დიდი ანგარიშით დაამარცხებს. ეს შეხვედრა სწორედ საბერძნეთში შედგა — სალონიკში იუგოსლავიელებმა მესამე შესარჩევი მატჩიც მოიგეს და ჯგუფის ლიდერად იქცნენ. ამ დროს კი ზოგ-ზოგიერთები ასეთი კარგი გუნდის შეჯიბრებიდან მოხსნას ითხოვენ...

10 თებერვალს, როცა მალტაში იუგოსლავიამ მასპინძლებს 3:0 მოუგო, შინ ვაცილებით დიდი სხვაობით მოგებას ფიქრობდა. მერე ისე მოხდა, რომ ნატომ და მოკავშირეებმა იუგოსლავია ლამის მთლიანად გადაბუგეს და ისედაც დაშლილ-დაქუცმაცებულ ქვეყანას საერთაშორისო ღონისძიებების, თუნდაც სპორტულის, მასპინძლობის შანსი მოუსპეს. ამიტომაც იუგოსლავია მალტას საბერძნეთში დახვდა.

ის, რომ მალტა მეტოქეს ვერ დაამარცხებდა, ძნელი მისახვედრი არ იყო. თუნდაც სალიბას გოლის შემდეგ ნათელი იყო, რომ მალტელთა უპირატესობა, თუ ამას შეიძლება უპირატესობა ეწოდოს, დიდხანს არ გასტანდა.

თუ პირველი ტაიმი ფრედ 1:1 დასრულდა, რაც უდავოდ მოულოდნელოა იყო, შესვენების შემდეგ ყველაფერი თავის ადგილზე დადგა, ანუ მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო — იუგებმა მალტელებს სამი გოლი გაუტანეს და დიდი ანგარიშითაც იმარჯვეს. „მასპინძელთა“ თავდასხმას ფრთები შეასხა საკო მილოშევიჩის გამოჩენამ — „სარაგოსას“ თავდასხმელი მეტოქეთა მცველებს აწიოკებდა და შედეგადაც უტყვევდა.

— მალტას ვუხდი ბერძენ ხალხს. მათ შესანიშნავად გვიმასპინძლეს. თუ ხორვატიას ბელგრადში ვერ დაგვხვდებოდა, ვისურვებდი, რომ მათ აქ, სალონიკში დაგვპირისპირდეთ — განაცხადა იუგოსლავიელთა მწვრთნელმა მილან ზივადინოვიჩმა.

წესით და რიგით, იუგოსლავია — ხორვატიის მეტად პრივილეგიული და დაძაბული, ამასთან ბერძენთა მთლიანი დაპირისპირება 18 აგვისტოსთვისაა დანიშნული. მანამდე რა იქნება, არავინ იცის. სულაც არა გამოიციხული, იუგოსლავიამ მანამდე ბელგრადში თავისი უფლება დაიბრუნოს.

იუგოსლავია 3 3 0 0 81 9
მალტა 0 0 0 0 0 0
ხორვატია 4 2 1 1 95 7
ირლანდია 3 2 0 1 71 6
მალტა 6 0 0 6 322 0



პრედრაგ მიატოვიჩი (მარჯვნივ) ანგარიში გაათანაბრა

EURO 2000
საქართველოს მსხვერპლი
IX ჯგუფი

0:1 სმიტი (2), 1:1 ევბისი (15), 4:2 რიი (79)
იტალია 5 5 0 0 15:5 15
დანია 6 3 1 2 9:7 10
შვეიცარია 3 2 0 1 3:1 6
უელსი 6 0 2 4 6:13 2
ბელარუსი 4 0 1 3 1:8 1

საბერძნეთი 6:0 ლატვია
1:0 პაცილოლუ (32), 2:0 ხუტოსი (40), 3:0 კარაგუნისი (63), 4:0, 5:0 ხუტოსი (72, 75), 6:0 ლიკლივისი (90)

ალბანეთი 1:1 სლოვენია
0:1 ლავრიკი (2), 1:1 ასლანი (89)
საბერძნეთი 7 5 2 0 21:6 17
ნორვეგია 7 5 1 1 15:5 16
საქართველო 7 1 3 3 5:9 6
ლატვია 7 1 2 4 3:13 5
ალბანეთი 5 1 1 3 3:11 4
სლოვენია 5 0 3 2 4:7 3

მოლდოვა 1:1 ფინეთი
1:0 ივანოვი (57), 1:1 კალიო (81)
თურქეთი 5 3 2 0 7:1 11
გერმანია 5 3 0 2 6:3 9
ფინეთი 6 1 4 1 4:5 7
ჩრდ. ირლანდია 5 1 3 1 3:4 6
მოლდოვა 7 0 3 4 2:9 3

სომხეთი 1:1 უკრაინა
1:0 აკოფიანი (13), 1:1 მიტროფანოვი (47)
საფრანგეთი 5 4 0 1 12:3 12
უკრაინა 5 3 1 1 15:6 10
რუსეთი 5 3 0 2 6:5 9
სომხეთი 6 1 1 4 5:17 4
ისლანდია 5 1 0 4 5:12 3

ლუქსემბურგი 0:4 პოლონეთი
ბულგარეთი 0:1 ინგლისი
0:1 კორტი (87)
ინგლისი 6 6 0 0 17:0 18
პოლონეთი 6 3 2 1 16:10 11
ბულგარეთი 6 2 2 2 10:8 8
შვედეთი 5 1 0 4 4:9 3
ლუქსემბურგი 5 0 0 5 0:20 20

რუმინეთი 1:1 აზერბაიჯანი
1:0 ლუკა (20), 1:1 ისმაილოვი (65)
უნგრეთი 3:0 სლოვაკეთი
1:0 ფერენსი (32), 2:0 ბოორი (36), 3:0 შაბიში (51)
სლოვაკეთი 6 4 1 1 9:6 13
რუმინეთი 6 3 2 1 8:5 11
პორტუგალია 5 2 2 1 10:3 8
აზერბაიჯანი 5 1 1 3 4:11 4
უნგრეთი 6 1 0 5 7:13 3

იუგოსლავია 7:0 მალტა
1:0 დაკაი (12), 2:0 პაუნოვიჩი (21), 3:0 კუზმონი (38), 4:0 დრულოვიჩი (41), 5:0 ვუკოშოვიჩი (50), 6:0 პაუნოვიჩი (52), 7:0 დრულოვიჩი (82)
ირლანდია 0:0 მალტა
ხორვატია 4 3 1 0 11:2 10
იუგოსლავია 4 2 2 0 13:2 8
ირლანდია 4 1 3 0 5:4 6
მალტა 4 1 0 3 2:11 3
მალტა 6 1 0 5 7:19 3

ესტონეთი 0:2 ლიტვა
0:1 სამუსილოვსკი (52), 0:2 პოსკუსი (89)
ჩეხეთი 3:2 შოტლანდია
1:0 დოშკი (8), 1:1 ტომპსონი (50), 1:2 პიუზი (69), 2:2 პინი (74), 3:2 სონოვი (86)
ჩეხეთი 7 6 1 0 13:2 19
ლიტვა 7 4 1 2 12:4 13
ბელარუსი 5 3 1 1 9:4 10
შოტლანდია 6 1 2 3 6:8 5
ბოსნია 5 1 1 3 4:12 4
ესტონეთი 6 0 0 6 3:17 0

რეკლამა
სარბიელ-ში
Tel: 39 40 08, 93 16 08;
Fax: 93 16 08

ამხანაგური მატჩი
ბრაზილია 3:1 კოლანდია

1:0 ამოროზო (16), 2:0, 3:0 ლონარდო (38, 42), 3:1 ვან ბუიდონი (80)
ბრაზილია: დიდა, ევანილსონი, ანტონიო კარლოსი (ფოაო კარლოსი 78), ალდაირი, რობერტო კარლოსი, ემერსონი (ზე რობერტო 76), ფაირი (მარკოს პაული 46), ლეონარდო (დენილსონი 73), რივალდო, ჯოვანი (რონი 61), ამოროზო
პოლანდია: ვესტერველდი, ოიერი, ფ. დე ბური, კონტერმანი, რ. დე ბური (ვან ჰინტუპი 73), ზენდენი, დავიდასი, კოკუ, ვან ფოსენი, ვან ნისტელროი, კლუივერტი (ვან შოიდონი 67)

ამხანაგური ვამბობთ. განა მატჩის, რომელიც ხუთ ფეხბურთელს გააძევიანებენ, შეიძლება ამხანაგური უწოდო? ალბათ, არა. ამხანაგური არა და მტრული კი ეთქმოდან შეხვედრას.

გულშემბატოვიები სანახაობას ელოდნენ და იხილეს კიდევ, ოღონდ არა ფეხბურთით, არამედ ჩხუბით. აქეთ ამოროზომ და ანდრე ოიერმა დასცხეს, იქით რივალდომ და დავიდმა სცემეს ერთმანეთს. საშინელება იყო — შეხვედრა, რომელსაც მყურებლისთვის სიამოვნება უნდა მიენიჭებინა, ამავრზე შეხლა-შემოსხლად იქცა.

კარგია, როცა თამაში დაძაბულია, მაგრამ ეს არ უნდა გამოიხატოს კოჭების მტკრევასა და თავ-პირის ლენვამი. ამ შეხვედრაში სწორედ ასე იყო და ეს, ცხადია, ძალიან, ძალიან ცუდია. პირველი, ფრედ დასრულებული

მატჩის შემდეგ ბრაზილიელთა მწვრთნელმა ვანდერლეი ლუტსემბურგომ განაცხადა, ვეცდებით, პოლანდიელები მეორე თამაშში მაინც დავამარცხოთ. საწყენი იქნება, მეტოქეს რომ ვერ მოვუგოთ. მასპინძელთა თავკაცმა გულსწადილი აისრულა — პოლანდიას მეორე შეხვედრა მოუგო, თუმცა, უეჭველია, გუნდის თამაშით უკმაყოფილო გახლდათ. მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონებმა სათანადოდ ვერ ითამაშეს და იმითომ.

საოცარია, მაგრამ ფაქტია — ასეთი ტიტულიანი გუნდების დაპირისპირებას მხოლოდ და მხოლოდ ათი ათასი გულშემბატოვიარი დაესწრო. მატჩი სადმე სხვაგან რომ შემდგარიყო, ეგებ ასეთი ცუდი არც ყოფილიყო, მაგრამ ვინ იცის. რაც იყო, იყო. პირველ შეხვედრაში დაშვებული და მერე გამოსწორებული შეცდომების მიზეზი იყო თუ სხვა რამის,

სამხანაგური მატჩი
ბრაზილია 3:1 კოლანდია

ბრაზილია მეტოქეს შესვენებამდე სამი გოლი უტყვევდა, რაც თავისთავად შესანიშნავი მიღწევაა. სამივე გოლი არნემის „ვიტისის“ მეკარის სანდერ ვესტერველდის კარში იტალიაში მოთამაშე ფეხბურთელებმა გაიტანეს — სერია A-ს საუკეთესო ბომბარდირმა ამოროზომ რივალდოს პასის შემდეგ გახსნა ანგარიში, მერე კი ლონარდომ ორჯერ დაიბრუნა მცველები. შეგახსენებთ, რომ „მილანის“ შემადგენლობაში ლეონარდო იტალიის ჩემპიონი გახდა.

ცოტა ხანში პოლანდიელი პეტერ ვან ფოსენი გაავდეს, ლიდერის გამოკლებამ კი „ნარინჯისფერებზე“ დამლუპველად იმოქმედა — ბრაზილიელებს ცოტა რომ გამართლებოდათ, ფრენკ რაიკარდის გუნდი ძალიან შერცხვებოდა.

დიდი ანგარიშით ნაგებას ევროპელებმა თავი დააღწიეს — პიერ ვან შოიდონმა შეხვედრის მინუტულს საჯარიმო დარტყმიდან შეაგდო გოლი.

...რაიკარდის პოლანდიის ნაკრებმა უკვე რვა შეხვედრა ითამაშა და მხოლოდ ერთხელ მოიგო. ბევრიც არ ნაუგია — მხოლოდ ორჯერ დატოვა მინდორი დამარცხებულმა, ხუთი თამაში კი ფრედ დაასრულა.

ლუკა გოდუაძე



უხეშმა ორთაბრძოლებმა შეხვედრას თავისი კვალი დაატყო

სარბიელი





# შახსურო ჩხუბიდან კატის ჭამამდე

— თობი სეზონის შემდეგ, 35 წლისამ, ისევ უმძლავრეს საფეხურზე ითამაშეთ. როგორ ხართ მანდ, „მოხერხებულნი“?

— შოტლანდიურ პრემიერლიგაში გვიხდოდა დარჩენა და დავრჩით კიდევ: თავიდან გავიციონ-რა, მაგრამ ჩვენ ვაჯობეთ. რონი მილი კვირის განმავლობაში თავდაჯერებულად დადიოდა, გვეუბნებოდა თქვენი საუკეთესო თვისებები უნდა გამო-ავლინოთ. იმ დღეს ნახევარდღეა ვიხდით თამაშში. ასეთი რამ პირველად მოხდა ეს კანტონ-საშობალოდ იყო ჩაფიქრებული და გაამართლა კიდევ ყველაზე კარგად კი ის ქვიფი მანსონს, თასის მოპოვების შემდეგ რომ გაიმართა. ვილკინსის ოთახში დილის 5 საათამდე ვისხედით, სასტუმრო რომ დავტოვეთ, უკვე შვიდი იყო.

**— როგორი მწკრივები იყო რონი?**  
— ის დიდებული მოტივატორი გახლდათ. რო-დესაც „ვილაში“ გადავიდა, „რონის“ მკაცრობა, რომელიც მისთვის „ის“ ათასს ახლავდა მოგვცემ, კარგი მანქანა რომ იყავო. მეც წავიდა და „მერსედესი“ შევიძინე. II ათასი გადავიხადე. მერე, საშობალოდ, „ვევრტონს“ რომ მოვუყვით, რომა ვერცხლისფერი „როვერი“ მაჩუქა. ისეთი შთაბეჭდილება იქმნებოდა, თითქოს ეს მისი კეთილი ნება იყო, სინამდვილეში კი სპონსორებს სურდათ, რომ ჩვენ ამ ფირმის მანქანები გვყვოდნა. ერთი წინს მერე, როდესაც კონტრაქტის განახ-ლებას ვსაუბრობდით და პირობების გაუმჯობეს-ებას მოვიტოვებდით, მან „როვერის“ ამბავი თავის სასარგებლოდ გამოიყენა და მომანახლა, დიდებუ-ლი მანქანა გაჩუქა, მეტი რაღა გინდაო.

შინ ტილი ვახსოვთ? უფრო სწორედ ვაგიფთხობთ? იყო... ყოფილა ასეთი ფეხბურთელი „ასტონ ვილაში“, ახლა შოტლანდიურ „მოხერხებულნი“. დიდი არაფერი, მაგრამ კარგი მოსაუბრეა. რონი ატკინსონზე საინტერესო ამბები რომ ვაივთ, თურმე სულაც არაა აუცილებელი, მაინცდამაინც დუაიტ იორეს ელაპარაკო. მიყოლა სხვა ნიჭია...

**— ოდესმე მოსვლია ფეხბურთელებთან უსი-ამოვნება?**

— როგორ არა. „ჩელსისთან“ 0:1 რომ წავა-გეთ, მან და დღიან ატკინსონმა საშხაპეში იჩხუბეს. რონი კოსტუმში იყო გამოწყობილი, დალიანი კი დღეობილია გახლდათ. მე, ენდი თაუნდენსონსა და კევინ რიარდსონს მათ გასა-შველებლად წავაღმი ყვინთვა მოგვიხდა. გავიდა რამდენიმე წუთი და ატკინსონებმა ისევ მუშტე-ბი დაარტყეს ერთმანეთს. კიდევ, მასსონს, რო-გორ ესროლა რონმა დინ სონდერსის ცხელი ჩაით სავსე ჭიჭა. ეს ოლდემში მოხდა.

**— ერთი ხანობა 365-ის მესვეტესთან, ენდი გარსიასთან ერთად, მუშაობდით, არა?**

— კი, ენდი რონის ასისტენტი იყო. მასთან ყოფნა სამხარაულოა ენდის დიდ პატივს ვცემ, იმიტომ რომ არასდროს არაფერს მაღავეს. ერთხელ რომ ენდი ტელევიზიით გამოიხატა რადგან მან გულწრფელად თქვა, გუნდმა ცუდად ითამა-შაო. ისინი დიდი მეგობრები იყვნენ, მაგრამ უჩხუ-ბით კიდევ.

**— რატომ გადახვედით „ვილაიდან“ „ტრან-მერი როვერსში“?**



რონი ატკინსონი

— მწკრივებზე ბრაიან ლილი რომ მოვიდა, მე კარგ ფორმაში ვიყავი და წესით „ვილასთან“ კონტრაქტი უნდა გამეგრძელებინა, მაგრამ ლი-ლი დარწმუნებული იყო, რომ „კრისტალ პა-ლასთან“, 4 მილიონად, კრის კოულმენს იყი-დდა და შემეცვლიდა. რონს ნათქვამი ჰქონდა, რომ ჩემი ფასი 3 მილიონი უნდა ყოფილიყო, მაგრამ ის „ვილაში“ აღარ მუშაობდა და აძი-ტომაც 450 ათასად „ტრანმერიში“ გამყიდეს. მეუბნებოდნენ ეს შენს სასიკეთოდ კეთდებაო.

**— 1997-98 წლების სეზონში ამიტომაც და-ანებეთ თამაშს თავი?**

— „ტრანმერიში“ ფეხბურთელში ამდენი ფუ-ლი არასდროს გადახდებოდა, ჩემი ტრანსფერი ამ კლუბისთვის არეკორდო იყო მაგრამ საოცრება მოხდა... სათადარიგოთა შორისაც კი ვერ ვხვდებ-ბოდი. საქმე ის გახლავთ, რომ მე ვწონ კინგმა მიყვია, მაგრამ ის მალევე წავიდა და მწკრი-ვითი ადგილი ვწონ ოლდრიჯმა დაიკავა, ო-ლდრიჯს კი არ ვვკვირდებოდი. თქვენი წარმოდ-ვინეთ, გუნდის კაპიტანი ვიყავი და კარგადც ვითამაშობდი, როდესაც ახალწლის დღეს, „ვესტ ბრომვიჩთან“ შემადგენლობაში არ დამასხედა.



ამბობენ, ფეხბუ-რთის წინაპარი თამაში ფიზიკლად ჩინეთში, ელადში თუ რომში არსებო-ბლიო. იქნებ მართალიც არის, მაგრამ დღევანდელი ფეხბურთის წესებს სა-ფუძვლი მძინც მე-19 საუკუნის ინგ-ლისურ სკოლებსა და უნივერსიტეტ-ებში ჩაეყარა. ეს სკოლები და კოლეჯე-ბი იძულებულნი იყვნენ საგანგებოდ ემუშავათ წესებს, რათა მათ გუნდებს ერთმანეთთან თამაშის წინ უზუსტად სკოლნობათ რა შეიძლება და რა არა. უცბად, 1860-იანი წლების ალბიონ-სე რომ აღმოჩნდეთ, ნუ გაგიკვირდებ-ბათ თუ უშეგლებლად, ატლანტურ კულტურა, რაგბის თუ ამერიკული ფუტ-ბოლის მაგვარი თამაშით გართულ ახა-ლაგანდა უჩვეულებებს დაინახავთ. მეტად რეკი უნდა გაიკვირებთ თუ ისინი ამ თამაშს ფეხბურთის უწოდებენ. უეჭველად იხილავთ ასეთ სცენას: ბურთს მეტოქე ვერტიკულად ვგუფი შემოჯარავია და ყველა სარაგბო შერ-კინებასავე, მის წინ გავდებას ლა-მბის. კიდევ, შენიშნავთ ბედნიერ ვე-რტიკულდ, რომელმაც ბურთი იხელათა და მოწინააღმდეგე რომ არ დაეწიოს სადღაც ძალიან შორს გაიქცა. მერე აუცილებლად იყიდით რომე-ლიმდე ლონდონურ გახეთს და წაიკი-თხათ, რომ ეს ვერტიკულდ მურა-ცხანდი არიან, რადგან ერთმანეთს ფე-ხში ფეხს ურტყამენ და აზიანებენ, რითაც საზოგადოებრიობას საშინელ შურაცხყოფას აყენებენ.

## ფეხბურთის ოთხთავი

სწორედ ეს კანონი კრებული დაიდევს საფუძვლად. შვედლური ვერსიით ბუ-რთის ხელოვნური გავლენა ნებადარ-თული გახლდათ, მაგრამ მეტოქისთვის კვანტის გამოღება და მისი ძირს და-ნარცხება არ შეიძლებოდა. არ შეიძ-ლებოდა ბურთის ამოილითავე და ისე გარბენა, თუმცა პასის ხელთ ჩაჭრას არაფერი ედგა წინ. საჯაროში დარტყმა დღევანდელი რაგბისას ჰგა-ვდა, თამაშგარე კი არ არსებობდა. გუნდებში მოთამაშეთა რაოდენობას არავინ აკონტროლებდა და არც მსა-ჯის ყოლა იყო აუცილებელი — სა-დავო საკითხზე ვერტიკულდ კაპიტენ-ბი რიგდებოდნენ.

დღევანდელი გადასახედიან ჩანს, რომ თანამედროვე ფეხბურთის სახე სამმა „წიგნმა“ განაპირობა. ამ სა-მთან ერთად, ბუნებრივია შეფილდისა (1857) გახლდათ, მის გარდა კი მნიშ-ვნელოვანი როლი ეკმბრიჯსა (1848) და აპინგემში (1862) შემუშავებულმა კანონებმა ითამაშეს. ამ სამიდან აუ-ცილებლად აღსანიშნავი ფეხბურთის ასოციაციის ვერსია, რომელიც 1863 წლით გახლავთ დათარიღებული.

სანამ ჩამოთვლილ ვარიანტებს გა-გაცნობდეთ, დავებთ, რომ იმ პერიო-დში ერთი წესი მეორეს ვერ ჩრდილა-ვდა ანუ კანონთა პრიმატი არ არსე-ბობდა. 1848 წელს შვედლური და ასოციაციის ვერსიების შერწყმით შე-იქმნა პირველი სერიოზული საბაზი-სო წიგნი, რომელმაც 1882-ში ოფიცია-ლური სახე მიიღო, რაც წესთა მა-კონტროლებელი საერთაშორისო ორ-განიზაციის დარსებას განაპირობა. ამ ორგანიზაციაში გაერთიანდნენ დიდი ბრიტანეთის ქვეყნები: ინგლისი, შოტ-ლანდია, ირლანდია და უელსი.

ეს ორგანიზაცია დღესაც არსებობს და მისი წევრი ჩამოთვლილთა გარდა ფიფას 4 წარმომადგენელი გახლავთ.

**კემბრიჯი (1848)**  
1. მატჩი მოედნის შუიდან ბურთის დარტყმით იწყება. ყოველი გოლის მე-რე თამაში იმავე წესით უნდა გაგრძე-ლდეს.  
2. თამაშს გოლის გამშვები გუნდი გა-ნახლებს. ამ დროს გუნდები (თუ წინა-სწარ სხვაგან არაა შეთანხმდნენ) კარ-ებს ცვლიან.  
3. ბურთი მოედნიდან გასულად ჩაი-თვლება, როდესაც დროშის გასწვრივ

დატრიალებს დაუშვებელია.  
7. ბურთის დაბლიდან ალბა (თუ აუ-ტი არ არის) წესის დარღვევა.  
8. ბურთისთვის ხელის წაკვრა ან მი-სი ხელით დარტყმა ნებადართულია. ხე-ლში ტყრა (თუ თავისუფალი დარტყმა არ არის) კი არ შეიძლება.  
9. კარში აუტიდან და ხელიდან (თავი-სუფალი დროს) დარტყმა არ შეიძლება.  
10. აუტში გადადგმული ბურთი თა-მამში აღარ არის. ასე რომ, გადადგე-ბმა გუნდმა იგი ხაზთან უნდა მოიტა-ნოს და თამაშში დააბრუნოს.  
11. თითოეული მოთამაშე ვალდებუ-ლია ნივთი ან მუქი ლურჯი კეპი ეხუ-როს, გააჩნია რომელ გუნდშია.

**აპინგემი (1862)**  
1. გოლი მამში ითვლება, როდესაც ბურთი ძელებს შორის და ხარხას ქვე-მოთ ძერება, ოღონდ ის ხელით არ უნდა იყოს ხასროლი.  
2. ხელით ბურთის მარტო მისი შერ-რების მიზნით შეიძლება შეეხოს. მერე ის უნდა დაგდონ და ფეხი დაარტყან.  
3. დარტყმისას ფეხი მხოლოდ ბურთის უნდა დაუმიზნონ.  
4. მეტოქის დაქაჩვა და დაგდება არ შეიძლება.  
5. მოთამაშეს პაერში მყოფი ბურთის დარტყმა ეკრძალება.  
6. თუ ბურთი აუტში გადავარდება, მო-ედანზე გადადგმება მოთამაშე უნდა დააბრუნოს, თან იმ ადგილიდან, სადაც ბურთმა ხაზი გადაკვეთა. მან უნდა დაა-რტყას სწორხაზოვნად, შუაში.  
7. თუ ბურთი კარს უკან გადავარდე-ბა, იგი ხაზთან იმ გუნდმა უნდა დააბ-რუნოს, რომლის კარიც იმ მხარესაა.  
8. როდესაც თამაში იწყება, ბურთის დამრტყმელთან ექვს ნაბიჯზე ახლოს არავინ უნდა იყოს.  
9. თუ მოთამაშე ბურთზე წინაა, სასწ-რაფოდ მის უკან უნდა დაბრუნდეს. თუ თანაგუნდელებს დარტყმულმა ბუ-რთმა მოთამაშეს ჩაუჭროლა, იგი მას არ უნდა შეეხოს, სანამ მეტოქე ან მისი რო-მელიმ თანაგუნდელი არ მიეკარება.  
10. თუ მოთამაშე ბურთზე წინ აღმო-ჩნდა, მას პრობლის უფლება არ აქვს.

# სსპისი ბადი ბადნარი, ჩვენი უფრო გუნდნარი

## უფროსობით გაბრაზებებს, თორემ ქართულ კალატაშურთს გული უღონდება

ცოტა რამ გუნდნარსაც

ესეც ასე, მერვე ჩემპიონატს ჩამოვიყვით, თორემ სხვათა ცენტრებსაც და, ფაქტობრივად იგივეს, სულს მინდა, არაა და მწერანელ მითამაშებენ სხვათა სულო არაღაღებებზეც წავიდნენ. ვე არის, ჩვენში კლუბებს დასვენება კარგა ხანს უგრძობლდებოდათ-ხოლო და საქმე საქმეზე რომ მიდგება, მომავალი სეზონისთვის მზადებას მერველა იწყებენ. ზოგი სულაც ერთი კვირით ადრე შეიკრიბება, კალათბურთელები ცოტას წაივარჯიშებენ და მერე თამაშ-თამაშა იწყებენ თან თვიდან თვემდე.

ასე გააკეთა შემოდგომაზე სდასუ-მ. ეს გუნდი ჩემპიონატის დაწყებამდე ზუსტად იგივე დღით ადრე შეიკრიბა და შედეგად... წლეულს ვეღარ შესწავდა ბრინჯაოს. მერე და მერე, თორთამდე და უძილაური რომ დაიმატა, კი ათამაშდა რიგგანადა, მაგრამ უკვე გვიან იყო. გუნდს წასავები უკვე წავიკო, ბევრი ქულა გაეფლანგა და როცა მოუმზადებლობამაც თავი იჩინა, აღმოჩნდა, რომ თბუქულში მოხვედრის შანსი სდასუს ხელიდან დასხლტომოდა.

ასევე პლეი ოფის მიმდინარეობდა „დინამო“ ბოლომდე კი იბრძოლა, მაგრამ გაუფრთხილებლობის თუ უკიდობის გამო ჩამოკლებულმა ქულამ ჩაუშვა მისეველების გუნდს შევებულა. ჭკუისასწავლებელი მაგალითი შეეძინათ, მერედა რადროს ვე იყო, ფიქრობენ ალბათ დინამოელები, მაგრამ რაღაქმევენლებათ.

„მაკაბის“ წლეულს არა უშავდა, ბევრი არაფერი, მაგრამ მხედის შეგირდები თვით „დინამოს“ და სდასუს ძლევით იწონებენ თავს. ამ გუნდმა პოტენცია სრულად გამოავლინა და შემდეგ ადგილზეც ალაღად და უსაკეცდურად გავიდა. ვერაფრის იტყვი.

„კოლხა“ ძირითად ბირთვს სამომავლოდ ერთ-ორ გამოცდილ კალათბურთელსაც თუ შეაშენებებს, უეჭველად უკეთეს შედეგს მიაღწევს. ახალგაზრდებმა რაც შეძლეს, ესაა, მერვე ადგილი. ვე იყო და ვე.

„შეგარდენს“ ჩემპიონატი კარგად დაიწყო, მაგრამ მერე და მერე გააუარესა თამაში და ბოლოს გამარჯვება სანატრელი გაუხდა. შეგარდენთ გუნდობისა ძნელად თუ ეტყობოდათ რამე.

ბოლო საფეხურს არმიული კლუბი, ასე შერჩა. ჯარისკაცებმა თავი ვერაფრით გამოიჩინეს და გაუგებარია, უმაღლეს ლიგაში ბურთობას ვერერიგად რატომ ემუშავებენ.

გიორგი ბიკაშვილი

წინ პლეი ოფია, ყველაზე მთავარი და მნიშვნელოვანი. იქამდე კი ბევრიც არაფერი დარჩა. სულ მალე მერვე ჩემპიონატის ჩამოყვანება, როგორც წინა შეიდი პირველობა, ისიც ისტორიის კუთვნილება გახდება, კარს გაიჯახუნებს და, რა თქმა უნდა, ნაკვალევს დაგვიტოვებს, სამწუხაროდ, არცთუ ღრმასა და მკაფიოს.

კი, ბატონო, ჩემპიონიც გვეყოლება. იქნებ სულაც სხვა კლუბი წამოსკუდეს ქართული კალათბურთის სათავეში, გვერდში პრიზიორებს შემოისხამს და თავს მოიწონებს, მაგრამ რა? — არც არაფერი, კარგად ჩავფიქრდეთ და ვაღიაროთ: ჩვენი კალათბურთის სახე, ეროვნული ჩემპიონატი რომ ჰქვია, დღითი დღე კინდება, დაბლა-დაბლა მიექანება და ფსკერზე ეშვება. საიმედო კი არაფერი ჩანს — ბნელა, ბუღია, ჩაიხუთა აქაურობა...

### მე რად მიწდა

#### სიმძიმე და ქონება

იცოცხლეთ, კარგი რამეა ფული. ვისთვის იქნებ ცხოვრების აზრი და შინაარსი. აქამდეც ბევრი აუწონია და კიდევ ბარე ორს გადაწონის, მაგრამ ყველას და ყველაფერს ნაღდად ვერ გასწვდება. ფული არც კაცობა და არც სიყვარული მთავარია, გული გულობდეს და ქადაც ისე შემოგვეტყება, თქვენი მოწონებული. ცდება, ვინც ფიქრობს, რომ ჩვენი კალათბურთი მხოლოდ უფულოდამ გაწვევია წელში. კანონი რომ არ კანონობს, აბა, მაგას „ხელის ვუჭყთან“ რა საერთო აქვს? კი, არსებობს ჩემპიონატის დებულება, მაგრამ საქმე საქმეზე რომ მიდგება, არაფრისმთქმელ, ფარატინა ქაღალდს იქცევა ხოლო რა შუამა აქ ფული და შეძლება დებულებაში ჩაწერილი თითოეული პუნქტი, სულ რომ არასწორი იყოს, ზედმიწევნით უნდა სრულდებოდეს. ასე ხომ ნათქვამ სიტყვასაც მუტი ფასი დაედება და ყველას საკარისდაც მიეცება.

ზემოთ სიყვარული ვახსენე და, ცხადია, საქმის სიყვარული ეგულისხმებ. ამ შემთხვევაში საქმე კალათბურთია, რასაც ახლებურად, საგულდაგულოდ კეთება სჭირდება და არა ისე, სხვათა შორის, ვიღაცის ჯიბრზე ან საამებლად. საქმე წინ არ წავა, ფედერაციამ გვემართებოდეს თუ არ იშრომა. გვემა იგივე დებულებაა, მაგრამ არ სრულდება და ამიტომაც ასეთი ქაოსი, გაუგებრობა და შუღლი.

დღერთმა ბევრი ფული გვაშოვნინოს, ჩვენც და ფედერაციასაც, მაგრამ კალათბურთი თუ აღარ გვექნება, რა ხეირი?! ვიბანკტოთ, დამსახურებულ, ვაღმობხილდ თაობებს იუბილევ-


ბი მოუწყოთ, ძველი დიდების გახსენებითა მოვიხოთ გული და ვიყოთ უზრუნველად, მაგრამ უკალათბურთოდ. ჩვენთვის ერთ დროს მართლაც საამაყო სახეობა რამენაირად უნდა შევინარჩუნოთ. ამისთვის კი აუცილებლად უნდა დავიცვათ კანონი, დებულება, რაც გინდათ, ის დაარქვით.

### კინკილა ქულის ამბავი

სამწუხაროდ, მერვე ჩემპიონატში დებულება არაერთხელ დაირღვა. იქნებ ყველა შემთხვევა ვერც ჩამოვთვალოთ, მაგრამ ცხრაგუნდა ჩემპიონატი რომ გაათდა, ამის უთქმელობა არ იქნება. პირველი წრის შემდეგ ფედერაციამ „კუმანური აქცია“ განახორციელა და პირველობაში არმიელთა გუნდის ჩართო. ძალიან მონდობილი იყო მამინ სალდათობა, ოღონდ გვათამაშეთ და ჯანდაბას, ცხრავე შეხვედრამი წაგება ჩავგივალეთ. ასეც მოხდა, ასეც უარი ვეღარ შეჰკადრეს.

იქამდე კი კალათბურთის მამებმა ექვსჯიზს ჩემპიონ „ვიტაც“ შეიწყალეს. თორემ ასე უმაღლეს ლიგაზე რომ ოცნებობდა, „ვიტას“ სულაც გული ასცრუებოდა თამაშზე და აკი ერთხანს მათგან კიდევ ჩემპიონატი. გუნდი სამ შეხვედრაზე არ გამოცხადდა, რაც წესით ძვირად უნდა დასჯილიყო. დებულების თანახმად ზედზედ ორი მატჩის გამოძიებელი კლუბი ავტომატურად ჩემპიონატსაც უნდა გამოთხოვებოდა. კი ვთქვით, წესით, მაგრამ „ვიტას“ ახლაც თამაშობს და შემდეგ გასაჩემპიონებლად იბრძვის. ასე ჩათვალეს საჭიროდ და იმიტომ.

ერთიც ვთქვით. ულიცნოზი მისურაბეს თამაშის უფლება არ ჰქონდა. ეს მერედა გაირკვა, თორემ მანამდე მისურაბეს მოეწყო „დინამოში“ თავის გამოვლენა მისი დახმარებით დინამოელებმა თსუ-ც დაამარცხეს და სტუ-ც, მაგრამ მერე, საქმე რომ „გასკლა“, თსუ-ს მოგება ჩაუთვალეს, „დინამო“ — სტუ-ს შედეგი კი უცვლელი დატოვეს. ამას ერთი ამბავი მოჰყვა, სტუ აბობოქრდა, სადაც თსუ ახვირეთ, ჩვენ რაღა დავიშავეთო, მაგრამ მერე განერდნენ, პლეი ოფის



კალათბურთის იმე გაგვეტანჯა, როგორც დაღლით შეღონებული სპორტსმენი


საგზური განაღდეს და ხმა ადარ აუმაღლებიათ. არადა, ბოლომდე რომ მოეთხოვათ, სტუ ქულას მიიღებდა. ეს ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტმა თემურ დათი-კაშვილმაც დაგვიდასტურა. სიმართლე სტუ-ს მხარეს არისო, გვითხრა, მაგრამ თვითონ სტუ გაჩუდა და ეს საქმეც ასე დამთავრდა.

თსუ-ს კი დიანაც რომ წაადგა ის კინკილა ქულა. თქვენ კინკილა ემახეთ და პლეი ოფიცის სწორედ იმ ქულის წყალობით გავიდა. საბოლოოდ რა გამოვიდა? თსუ-მ იხეირა, სტუ-მ — არა (აღარ უნდოდა), „დინამო“ — თან კი და თანაც ვერა. ამაზე საუბარს აქ დავამთავრებთ, ფაქტები, ხედავთ, საკმაო მთავარია, მსგავსი შემთხვევები აღარ განმეორდეს. ამისათვის კი ფედერაციამ უნდა იყოჩალოს, თუ საჭიროა, მაგიაზეც დაჰკარს მუშტი. არადა, მართლაც საჭიროა.


### სრულიად საიდუმლოდ?

ჩემპიონატს ახლა ოთხი გუნდილი გააგრძელებს, ისინი, რომელთაც ფინალურ ოთხეულში შედგენა მოახერხეს. დანარჩენებისთვის კი წლევეანდელი გათამაშება უკვე დასრულდა და კლუბებმა ადგილებიც გაინაწილეს. მოგეხსენებათ, მეცხრე-მეთათე ადგილებზე შესაბამისად „შეგარდენი“ და ასე გავიდნენ, მაგრამ შეამჩნევდით, რომ გადაჭრით დღემდე ვერ გვითქვამს, თუ რა ბედი ეწევით ამ კლუბებს. ჩვენ კი არა, თავად ფედერაციის ვერ გადაუწყვეტია, რა ქნას, შეინდოს ისინი და გაისადაც უმაღლეს ლიგაში ათამაშოს, თუ, პირველ ლიგაში საბურთაოდ გაწიროს. ვერსია ბევრია, ერთნი ამბობენ, გადაწყვეტილი ამბავია, ამით უმაღლეს ლიგაში აღარაფერი ესაქმებათო. ზოგი იმანის ასე გაეარდა და „შეგარდენს“ დარჩენის შანსი აქ-

## მართხა წრის საუკეთესო ხუთეული სარბიელის მიხედვით



დავით უსტიამვილი „ვიტა“



ირაკლი ხოსტარია „დინამო“




გიორგი ნაცვლიშვილი სტუ



ლევან ქარაბახვილი თსუ



ირაკლი ჭიყარიძე „ზოტი“



# მელოუნის 11 სუთუალი

ის, რაც ვერ მოახერხეს ქარბმ აბდულ ჯაბარმა, ელვიზ ბელიორმა, ბობ კოუზიმ, მაიკლ ჯორდანმა, ბობ პეტიტმა და ჯერი ვესტმა, მოახერხა კარლ მელოუნმა, „იუტა ჯაზის“ თავდასხმულმა და ამ სეზონის უძვირფასესმა მოთამაშემ. მელოუნი დაასახა-ლეს ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ამ სეზონის პირველ სუთუელში. ეს კარლის მე-11 აღიარებაა. ამაზე მეტისთვის ისტორიაში არავის მიუღწევია. ზემოთ ნახსენები ვარსკვლავები 10-10-ჯერ იყვნენ დასახელებულნი ლიგის პირველ სუთუელში.

კარიერაში მქონე ლიგის პირველ სუთუალი	ქრონიკა
კარლ მელოუნი	11
ქარბმ აბდულ ჯაბარი	10
ელვიზ ბელიორი	10
ბობ კოუზი	10
მაიკლ ჯორდანი	10
ბობ პეტეტი	10
ჯერი ვესტი	10
ლარი ბერდი	9
მეჯიკ ჯონსონი	9
ოსკარ რობერტსონი	9
უილტ ჩემბერლენი	7

ბილი (ლეიკერსი, ფორვარდი, 263) კრის ვებერი (საქრამენტო, ფორვარდი, 278) მესამე სუთუელი: ჯონ სტოქტონი (იუტა, უკანა ხაზი, 75), კობი ბრაიანტი (ლეიკერსი, უკანა ხაზი, 75), კაკი ოლაჯუნი (პიუსტონი, ცენტრი, 67), ანტონიო მაკდაიესი (დენვერი, ფორვარდი, 80), კევინ ვარნეტი (მინესოტა, ფორვარდი, 231) ტიმ დანკანი მეორედ მოხვდა ლიგის პირველ სუთუელში, ხოლო მურინგისთვის, აივერსონისთვის და კიდისთვის ეს პირველი აღიარებაა. გამოკითხვის პრინციპი ამგვარია: თითოეული ჟურნალისტი თითოეულ ამოღულში ასახელებს სამ კალათბურთულს პირველ ადგილზე დასახელებულს ენიჭება 5 ქულა, მეორეს — 3, მესამეს — 1. მელოუნი პირველ ადგილზე დაასახელა 113-მა კაცმა, დანკანი — 112-მა, მურინგი — 95-მა, აივერსონი — 93-მა, კიდი — 86-მა.

პირველი სუთუელი: ჯეისონ კიდი (ინიუსი, უკანა ხაზი, 516) ქელა, ალენ აივერსონი (ფილადელფია, უკანა ხაზი, 539) ქელა, ალონზო მურინგი (მაიაში, ცენტრი, 542 ხმა), ტიმ დანკანი (სან ანტონიო, ფორვარდი, 576 ხმა), კარლ მელოუნი (იუტა, ფორვარდი, 580 ხმა) მეორე სუთუელი: ტიმ პარდვეი (მაიაში, უკანა ხაზი, 168), გერი პეტეტი (სიეტლი, უკანა ხაზი, 440), მაიკლ ონილი (ლეიკერსი, ცენტრი, 382), გრანტ

კენტი, 542 ხმა), ტიმ დანკანი (სან ანტონიო, ფორვარდი, 576 ხმა), კარლ მელოუნი (იუტა, ფორვარდი, 580 ხმა) მეორე სუთუელი: ტიმ პარდვეი (მაიაში, უკანა ხაზი, 168), გერი პეტეტი (სიეტლი, უკანა ხაზი, 440), მაიკლ ონილი (ლეიკერსი, ცენტრი, 382), გრანტ

## სსოვნის დღის ღირსასსოვარი ამბები

ყოველი მაისის ბოლო ორშაბათი ამერიკის შეერთებულ შტატებში უქმეა. ქვეყანა სსოვნის დღეს აღნიშნავს. მაისის ბოლოს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში პლეი ოფი გახურებული. თითქმის ყველა სსოვნის დღეს იმართება საპლეიოფო მატჩი. სსოვნის დღეს გამართულ მატჩებში ხშირად მომხდარა ისეთი ამბები, რომელიც სამუდამოდ შესულა ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ისტორიაში. ახლა სწორედ ამგვარ ამბებს მოგიტხრობთ.

### 1999 წელი. დასავლეთის კონფერენციის ფინალი. მორა ჰატჩი

სან ანტონიო სპურსის ფორვარდმა შონ ელიოტმა შეიძიდან ექვსი სამქულიანი ჩაგაძო, მათ შორის ისიც, რომელიც მატჩის ბედი გადაწყვიტა და ამა წლის სსოვნის დღე, 30 მაისი სამუდამოდ დაამახსოვრა მაყურებელს.

„სფურსი“ ორი ქულით აგებდა, დამთავრებამდე კი 9,9 წამი რჩებოდა. ელიოტმა საკუთარი მოედნიდან მიიღო პასი. თავად მოედნის მარჯვენა კუთხეში იდგა. ბურთის დატყობის შემდეგ ელიოტს წინასწარობის დაცვა მართებდა: უკან რომ გადასრულიყო, მოედნის გარეთ გავიდოდა; წინ რომ წაედგა ნაბიჯი — მისი ნასროლი სამქულიანი ალარ ჩაითვლებოდა. ელიოტმა ზუსტად დაიცვა „ოქროსი შუაღელი“ და ნახტომში ისროლა. სამქულიანი ჩაგარდა და „სან ანტონიომ“ უმნიშვნელოვანესი გამარჯვება მოიპოვა.

### 1998 წელი. აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალი. მორა ჰატჩი

ინდიანა პეისერსის მსროლელის რეჯი მილერის ბოლო წამის გმირობამ ლამის დაანერა ინდიანაპოლისის „მარკეტ სქვერ არენა“. ინდიანა ერთი ქულით აგებდა, ხოლო რეჯი მილერი მაკლ ჯორდანს ებრძოდა. მოლოდინულად, მილერმა გვერდი აუარა რამდენიმე ბლოკს, წამით გაექცა ჯორდანს და საკუთარი მოედნიდან მიიღო დრიკ მაკის პასი. დამთავრებამდე 0,7 (!) წამი რჩებოდა. მილერმა სამქულიანი დაუფიქრებლად ესროლა, ჩაგაძო და სერიის ანგარიში 2:2 გახადა.

### 1995 წელი. აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალი. მორა ჰატჩი


ინდიანა 94:93 ორლანდო ეს იყო ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის საპლეიოფო ისტორიის ერთ-ერთი უდიდესი მატჩი. ბოლო 13,3 წამის განმავლობაში ორჯერ ინდიანა დაწინაურდა, ორჯერ — ორლანდო. დაწინაურებული გუნდის მეხუთე ცვლილება სირენისთანავე მოხდა — ინდიანელმა ცენტრმა რიკ სმიტსმა საჯარიმის ხაზის მიდამოდან ნახტომში ესროლა და თავისიანები საბოლოოდ დააწინაურა.

### 1993 წელი. აღმოსავლეთის კონფერენციის ფინალი. მორა ჰატჩი


ჩიკაგო 105:95 ნიუ იორკი „ნიუ იორკ ნიქსი“ სერიას 2:1 იგებდა და ამ მატჩში მეტოქის დამარცხების შემთხვევაში, ფაქტობრივად, ინაღლებს ლიგის ფინალში გასვლას. ჩიკაგო ბულსს“ კი ჰყავდა მაიკლ ჯორდანი და ეს იყო ყველაფერი, რაც ამ გუნდს იმ დღეს სჭირდებოდა. „მისი უპაიროვნესობა“ სასწაულებს სწადიდა, ჩიკაგო სტეილიუმის“ ტერაქსმა მან ჩააგლო მოედნის ყველა წერტილიდან, ექვსი ბურთი — სამქულიანი ხაზის უკნიდან. საბოლოოდ ჯორდანმა 54 ქულა მოაგროვა.

### 1985 წელი. ლიგის ფინალი. პირველი მატჩი


პოსტონი 148:114 ლიკაპრი ამ მატჩამდე ორივე გუნდმა სუთი დღე დასვენა, მაგრამ ეს უქმობა „ბოსტონ სელტიქსს“ უფრო წაადგა. სკოტ ედმანმა 11-ჯერ ისროლა ბურთი და ყველა ჩაგაძო, მათ შორის ოთხი სამქულიანიც. პოსტონმა პირწმინდად დასცა მეტოქე. ხოლო ამ მატჩს მოგვიანებით „ხსოვნის დღის სოციალურმა“ შეარქვეს „სელტიქსის“ მწვრთნელმა კეი სი ჯონსმა თქვა: „განსაკუთრებული დღე იყო. თვალდაზრუნულსაც რომ გესროლა, ბურთი მაინც ჩაგარდებოდა კალათში“. იმ წელს ჩემპიონი მაინც „ლეიკერსი“ გახდა. ქარბმ აბდულ ჯაბარის მიერ შეგულიანებულმა გუნდმა მალე დაივიწყა პირველი მატჩის კოშმარი და ბოსტონს პირველად მოუგო სერია. მანამდე „სელტიქსს“ რვა ფინალში დაემარცხებინა „ლოს ანჯელეს ლეიკერსი“.



შონ ელიოტი



რეჯი მილერი



მაიკლ ჯორდანი

# პრიმომ „პიპი“ დაგვიხმარებს ღი ზარაზვილია კომპლექსი გაიხსენა, როდესაც ემიგრაცია, მართლმართლო

12-13 ივნისს საქართველოს მძლეოსანთა ნაკრები ისრაელში ევროპის თასზე ასპარეზებს. ჩვენი გუნდი, ამ ტურნირის დებიუტანტი, კონტინენტის თასისთვის ბრძოლას ყველაზე დაბალი — C ჯგუფიდან იწყებს. შეჯიბრების ფორმულა ასეთია — ჯგუფში პირველ-მეორე ადგილებზე გასულები B ჯგუფში ორ მარჩნალას შეცვლიან. ანალოგიური პრინციპით შეიცვლებიან მონაწილეები A და B ჯგუფებშიც, მაგრამ ვინაიდან ჩვენ იმ სიმაღლეზე არაფერი გვესაქმება, ისევე ჩვენს უსუსტეს ჯგუფს მივხედოთ. B ჯგუფისკენ საკმაოდ მაღალი მათსავეითა უსუსტესი შეიძლება გადმოხადოს — პორტუგალია, ესტონეთი, ისრაელი, სომხეთი, ლუქსემბურგი, კვიპროსი და ისლანდია. ისრაელში საქართველო მხოლოდ ქალთა გუნდით წარდგება. კაცების გაგზავნა უსახსრობის გამო არ მოხერხდა. ეგ კი არა, ქალებსაც ფული მძლეოსნობის საერთაშორისო ფედერაციის (IAAF) პრეზიდენტმა პრიმო ნებოლომ მისცა. დოქტორი ნებოლო გულმოდგინედ დათანხმდა ჩვენი ფედერაციის თხოვნას და ყოველწლიური უკვე მიღებული დამხმარების გარდა, დამატებით დააფინანსა. ისრაელში კიდევ ერთხელ გაიხსენებს ძველ დროს სეულის ოლიმპიადის ბრინჯაოსმედალოსანი, ფედერაციის გენერალური მდივანი მაია აზარაშვილი. ის მხოლოდ 4X100 მეტრზე ამანატრებენში გამოვა. მეტის უფლება ექმებმა არ მომცესო, გვიტოხრა. გერმანიაში მცხოვრები და მოსაქმანი




მაია აზარაშვილი

აზარაშვილი რამდენიმე დღის წინ ჩამოვიდა თბილისში და, როგორც ყოველთვის, ხელდაშემენებული — „ადი-დასის“ სპორტული ფორმა ჩამოუტანა ალტეპულ მიწაზე მიმავალი, თუმცა ამ ბარგის საბაჟოზე გადმოტანა კვლავაც დიდ პრობლემად ექცა. ისრაელში ჩვენი ნაკრები ასეთი შემადგენლობით იასპარეზებს: მაია აზარაშვილი, ნინო ბაკაური, თამარ შანიძე, ია დარაზველიძე, იულია ღებინა, იაშვი ტოვონიძე, ქეთინო აბრამიძე, მაკა ობოლაშვილი და ნინო ძიმიშვილი.


## მწვანე პირქარი

აშშ-ის მძლეოსანთა პროფესიული ლიგის სადებიუტო შეჯიბრი ერთ სპორტმენს მაინც შეეწია გვარიანად — ქვეყნის ჩემპიონმა მელისა მორისონმა 100 მეტრზე ქალთა თარჯიზების მოგებით 100 000 დოლარიანი ჯეკპოტიც ჩაიგებდა. 27 წლის მორისონმა წამში 2,3 მეტრი სიჩქარის პირქარის მიუხედავად, საფრანგო დისტანცია შთამბეჭდავ დროში — 12,98 წამში გაიბრინა და კარიერის ყველაზე შთამბეჭდავი საპრიზობიეც მითითა. იქნებ გავიკვირდეთ, სახელოვან მძლეოსანს, თანაც ამერიკელს, ფული რადუნდა გასჭირვებოდაო, მაგრამ მორისონის კისერზე მეოფე ოჯახს შარშან ორი დიდი უსიამოვნება შეემთხვა — ჯერ გულის შეტევით მამა გარდაიცვალა, მერე კი კიბოთი — და „ამ თანხით ჩემი და დედამისის ვალებს გადავიხდი, დანარჩენს კი რაიმე საქმეში ჩავდე. მაგრამ ეს მხოლოდ დასაწყისია, მე კიდევ ბევრი შედეგი დამრჩა მოსაგები და ბევრი რეკორდი გასაშფოფოსებელი“ — მაშინვე განაცხადა საკუთარი ამბიციების შესახებ მორისონმა, რომელიც 110 მეტრზე თარჯიზებში ოლიმპიურ ჩემპიონ ალან ჯონსონთან ერთად ვარჯიშობს.

კზე“ — ეს ჯონსონის აქა-იქ შეღამაზებული კომენტარია. უეიდის პასუხი კი შემდეგი გახლდათ: „ზოგიერთი იმ სპორტსმენისგან განსხვავებით, ვისაც ვეჯიბრები, უხამსობაში მათთან გაჯიბრებას, სარბენ ბილიკებზე ვიღებ მორჩევნი“. აი, ბოლო ხანების დამამარცხებელ ამერიკელ მძლეოსან ქალს მერიონ ჯონსს კი მოგება სულაც არ გაჭირვებია. იშვიათი ცრუ სტარტისა და ძალიან ძლიერი პირქარის მიუხედავად, ყოფილმა კალათბურთელმა ყველა მეტოქე გვარიანად ჩამოიტოვა და 100 მეტრზე რბენაში, არც შეუფერებლად სუსტი შედეგის, 11,33 წამის გამო დასწყევტია გული: „მეტოქეები დახედავენ ამ შედეგებს და იტყვიან, ახლა კი ნამდვილად მოუგებოთ, საწინააღმდეგო არაფერი მაქვს — დაე, ასე იფიქრონ“.



ალან ჯონსონი



ზაზა დოლია მტრებს ელის


# ტიტე ტრინსტელი ზაზა დოლია ეგვიპტაში ნილის მისაღებად წასულა

საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრები ეგვიპტის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის პლეი ოფში რომ გავიდა, იცით. ჩვენების მტრულე 12 ივნისს ვახდებდა ცნობილი, როცა ეგვიპტეში მსოფლიოს ჩემპიონატის დამთავრებამდე სამი დღით ადრე წილისყრა გაიმართება. ქართველთა მთავარი მწვრთნელი ზაზა დოლიამ ამჟამად პირამიდების ქვეყანაში იმყოფება წილისყრის მოლოდინში. მას ეგვიპტიდან ჩამოსვლის შერე გავსაზრებთ. მანამდე კი ჩვენი ნაკრების ლიდერთან, ტიტე პალანდამსთან საუბარს ვთავაზობთ. ტექნიკური უნივერსიტეტის დარბაზში მისულს, სადაც ხელბურთელები ემზადებიან, ტიტე შესასვლელში შემავდა — თვითმფრინავის ბილეთის შესაქენად მივდივარ, მაღე მოებრუნდები და შერე ვილაპარაკოთო. ტიტე მართლაც მაღე დაბრუნდა, გუნდთან ერთად ივარჯიშა და ინტერვიუც შერე შედგა.



ტიტე კალანდამე მკედონიდან იტალიაში გადაბარდა

— ტიტე, თუ საიდუმლო არაა, სად მიფრინავ?  
— ფრანკურტში ვადაფრინდები, იქიდან კი იტალიაში ჩავალ, ქალაქ ტრინსტაში.  
— ტრინსტაში დასასვენებლად არ უნდა მიდიოდე.  
— არა, რა თქმა უნდა. იქაურ კლუბთან კონტრაქტს უნდა მოვაწერო ხელი. ეს საქმე თითქმის გადაწყვეტილია. ჩემთან ერთად, ალბათ, ვიორგი თურქიაც გადმოვა იტალიურ კლუბში.  
— რა დონის გუნდი ჰყავს ტრინსტას?  
— ძალიან ძლიერი. ამ სეზონში იტალიის ჩემპიონი გახდა და ახლა ჩემპიონთა თასზე ითამაშებს.  
— იტალიელებმა სად გიპოვეს?  
— იქაური მენეჯერი დაგვიკავშირდა მეც და თურქიასაც. ჩვენი მკედონიურ „ვარდარში“ ყოფნისას, რომელთანაც კონტრაქტი წლეულს დაგვიკავშირდა, ეგვიპტის თასების თასზე საქმიან კარგად ვითამაშეთ და ტრინსტელისკაც მაშინ შევუმჩვენე. იმით მწვრთნელს ჩვენი გადაბრუნება განუზრახავს. შერე საქმეში მენეჯერი ჩაერთო და კონტრაქტის გაფორმებასაც, ალბათ, წინ ველარაფერი დაუდგება.  
— „ვარდარში“ როგორღა მოხვდით და რა წარმატებები გქონდით?  
— მკედონიში სამი წლის წინ წავედი. მანამდე სტუ-შეგარდენში ვითამაშობდით. ჩვენი მწვრთნელი გიანრიმინი ბულგარეთში შეხვდა „ვა-



ტიტე კალანდამე ჟინიანი თამაშით იტალიელებსაც მოაწონა თავი


რდარის“ დამრეგებულს და ჩვენი თავი შესთავაზა. მკედონიელები იმ დროისთვის ორ ძლიერ მითამაშეს ეჭვ-ბდენ და სიამოვნებით გაგვიფორმეს კონტრაქტები. მათ საქმიან მალალი დონის ჩემპიონატი აქვთ. რამდენიმე

ისეთი გუნდი ჰყავთ, ევროპელ გრანდებს თანაბრად რომ ეთამაშებიან.  
„ვარდარი“ ჩვენი ჩასვლისას ჩემპიონატში მეხუთე ადგილზე ვავიდა და ქვეყნის თასიც მოვიგეთ. მეორე წელს ბრინჯაოს მედლები მოვიპოვეთ, თასის ფინალში კი მხოლოდ პენალტებით დაგმარცხდით, ისევე, როგორც მომდევნო სეზონში. ოღონდ მაშინ უკვე მკედონიის ჩემპიონები ვავხდით. თანაც თასების თასის ნახევარფინალში გავვით, რაც ძალიან დიდი წარმატება იყო.  
— ეგვიპტეში მიმდინარე მსოფლიოს ჩემპიონატზე მკედონიამ ჯგუფში მხოლოდ უსუსტესი საულის არაბების დამარცხება შეძლო, ოთხი მატჩი წააგო და ევროპელთაგან ერთადერთია, მერვედფინალს რომ ვერ უწყია. ამას ელოდი?  
— ნამდვილად არ ვიცი, რა მოუვიდათ. ასე სამარცხვინოდ არ უნდა გამოსულყვენ. საქმიან ძლიერი გუნდი ჰყავდათ. მეკარი, მკედლები, თავდამხმელები — ყველანი ძლიერები არიან. ოლიმპიურ ჩემპიონ ზორვატიასაც კი მოუგეს ამას წინათ. თავიანთ მოედანზე ხომ საერთოდ არ მარცხდებიან. ალბათ, გუნდში რაღაც ცვლილებები მოხდა.  
— შენი აზრით, ტურნირის ფავორიტი ვინაა?  
— მე მგონია, ან შევედი ვახდებდა მსოფლიოს ჩემპიონი, ან რუსეთი. მათ შანსებს 60-40-ზე შევავასებდი სკანდინავიელების სასარგებლოდ. ორივე უმაღლესი დონის ნაკრებია. ისე, გამა-

რჯვება ესპანეთსაც შეუძლია, თუმცა ფავორიტად მაინც შეგვეთვალო და რუსეთს მივუხრე.  
— ეგვიპტის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის საჯარო ფეხბურთელებს თამაშები არ გავთვნივთ?  
— ჩვენი ჯგუფის შემადგენლობა რომ გავიგე, წარმატებაზე არც მიფიქრია. პორტუგალიასაც და სლოვაკეთსაც კარგად ვიცნობდი და ვიცოდი, რომ საქმიან ძლიერები იყვნენ. არც ლატვია უნდა ყოფილიყო იოლი მეტრულე. იმ განწყობით ჩამოვედი, რომ ვითამაშებდი და რაც იქნებოდა, იქნებოდა. პირველი მატჩი პორტუგალიაში გვქონდა. თამაშის ბოლომდე სულ ვივადეთ და ბოლოსდა ბოლომდე შეხვედრე. თუმცა ამ წაგებამ ჩვენზე ძალიან დადებითად იმოქმედა. საკუთარი ძალებისა ვირწმუნეთ და შედეგის სახეზეა.  
— თბილისურ შეხვედრებში და დიდი ჩანდი...  
— არა. უბრალოდ, თბილისში, საკუთარი მკედონის წინაშე თამაში ძალიან მიჭირს. საგარეო მატჩებში ვაცილებით ძლიერი ვარ.  
— ლატვიასთან შეხვედრაში ტრინსტელის მამამთაგან მიმამთაგან ვივადეთ, ესეც ხომ არ მოქმედებს უარყოფითად?  
— არა. მისი რჩევები მუდამ მეხმარება ხელბურთის ანბანი სწორედ მამამთაგან ვაწავლა. იგი თავის დროზე ხელბურთელი იყო და რუსეთში თამაშობდა. ჩემი პირველი მწვრთნელი მამა იყო.  
— ბილი ოფში წარმატების იმედი თუ გაქვს?  
— ისევე, როგორც ჯგუფური ზღვრების წინ, ფავორიტად ჩვენი მეტრულე ჩაითვლება. თუმცა ეს სრულებით არ ნიშნავს იმას, რომ ჩვენი ძლევით იმედობდა. საქართველოს ნაკრები უკვე საქმიან მაღალი დონის გუნდია და ყველა მოწინააღმდეგესთან შეუძლია თამაში.  
ჩვენ არაფერს დავთმობთ, ბოლომდე ვიბრძობთ და იმედია, დასახულ მიზანსაც მივადწევთ. ერთიკაა, თბილისში ჩვენი დამარცხება თითქმის შეუძლებელია. ერთი სიტყვით, იმედი გვაქვს, ზორვატიას ჩვენც ვითამაშებთ!  
**ბაიოზ თალაგამამ**  
ბადრი კითრილაძის ფოტოები

# რომანი ბალახთან

ზუსტად 14 წლის წინ წითურმა და ჭორფლიანმა გერმანელმა ბიჭმა ბორის ბეკერმა ლონდონის „უინისის“ ტურნირზე კარიერის პირველი ტიტული მიითვალა, ორ კვირაში კი უიმბლდონის უმრავლესი ჩემპიონი გახდა და ჩოგბურთის ისტორიაში სამუდამოდ დაიკვიდრა ადგილი.  
ახლა, უამრავი წარმატებული სეზონის, დაჯიჯებისა და პენსიაზე გასვლის თარიღის დადგენის შემდეგ, 31 წლის ვეტერანი ერთხელაც ეწვია ინგლისის დედაქალაქს საუკეთესო მოგონებების ადგილთა მოსანახულებლად და ბალახის კორტებზე უკანასკნელი სეზონის ჩასატარებლად.  
„უიმბლდონზე უკვე ვიყავი ამ განსაკუთრებული სურნლის შესაგრძობლად. ყველამ იცის, რომ ზაფხულის ბოლოს სპორტს თავს ეანებებს და ერთხელაც მინდობა, დაეპრუნებოდნენ იმ ადგილს, სადაც ყველაფერი დაიწყო. იქნებ ძველმოდურად ან ცოტა რომანტიკულად მოგვჩვენოთ, მაგრამ ამ ცდუნებას ვერ გაუთქმელ“.



ანდრე აგასი

# აგასის უპილო დაამ

ბერმანიაში, პალეს „გერი ვებერ ოუფენში“ ანდრე აგასის დაგვიმომლო მონაწილეობამ ბილეთების გასაღების ტემპი ერთიორად გაზარდა, მაგრამ, მელოტი ამერიკელის ნახვის მსურველებს კოვი ნაცარში ჩაუვარდათ — პალეს ჩასვლის მიუხედავად, მან თამაში ვერ მოახერხა.  
„ტკივილები ჯერ კიდევ ბარიში, მესამე წრის მატჩის დროს დამეწყო. რაღაც ნამდვილად არ მქონდა რიგზე, მაგრამ მაშინ ასე არ მაწუხებდა. აქ იქიმა მითხრა, რომ ბარმაციის კუნთი გაქვს დაკომოლი და დასვენება გჭირდება“ — განუცხადა ურნალიტებს ანდრემ, რომელიც ვესტფალაში კერძო თვითმფრინავით ორშაბათს გადამდგინდა. 900-ათასიან ტურნირზე ასპარეზობისთვის ამერიკელს ექვსინა ციფრის ჩეკიც ერგებოდა, რომელსაც ახლა, რა თქმა უნდა, აღარ უფიქსავენ.  
„ბოლიში მინდა მოუხადო ორგანიზატორებს იმის გამო, რომ ჩემს მოვალეობას ვერ ვასრულებ. ახლა უკან, შტატებში მივემზავრები და იმედი მაქვს, ჩემი პირადი ექიმი ერთხელაც მოახდენს პატარა სასწაულს და უიმბლდონისთვის (რომელიც ათ დღეში იწყება) მომამზობინებს“.

„უიმბლდონზე უკვე ვიყავი ამ განსაკუთრებული სურნლის შესაგრძობლად. ყველამ იცის, რომ ზაფხულის ბოლოს სპორტს თავს ეანებებს და ერთხელაც მინდობა, დაეპრუნებოდნენ იმ ადგილს, სადაც ყველაფერი დაიწყო. იქნებ ძველმოდურად ან ცოტა რომანტიკულად მოგვჩვენოთ, მაგრამ ამ ცდუნებას ვერ გაუთქმელ“.

# ჰინგის ფული დააკლეს

მსოფლიოს პირველი ჩოგანი მარტინა პინგისი საფრანგეთის და პირველობის ფინალში „არასპორტული საქციელისთვის“ 1500 დოლარით დაჯარიმეს.  
როგორც ჩოგბურთის საერთაშორისო ფედერაციის (ITF) წარმომადგენელმა განაცხადა, 18 წლის შვეიცარიელის დასჯა შაბათის მატჩში საჩოგბურთო ეტიკეტის დარღვევამ — ბადის მეორე მხარეს გასერებამ და იქ მთავარ და გვერდით მსაჯთან კამათმა გამოიწვია.  
თუ იმას გავისხენებთ, რომ იმავ მატჩში პინგისმა ჩოგანის დამტრევისთვისაც მიიღო შენიშვნა, მოგებისთვის ათასგვარი ხრიკი გამოიყენა და შეხვედრის შემდეგ დაჯილდოების ცერემონიაზეც არ სურდა გამოცხადება, ამ მულტი-მიმდღის 1500 დოლარით დაჯარიმება ლამის სასაცილოდაც უღერს, მით უფრო, რომ როლან გაროსიდან მარტინამ საპრიზოებით 400 ათას დოლარზე მეტი გააყოლა ხელს.



მარტინა პინგისი



დედამიწის უმაღლეს მწვერვალ ევერესტზე (ჯომო-  
ლუნგმა, საგარმატხა, 8848 მ) პირველი ქართული ექ-  
სპედიციის წევრებმა გია თორთლაძემ (ხელმძღვანე-  
ლი), მერაბ ნემსინვერიძემ, ირაკლი უგულავამ, ირა-  
კლი ციხისელმა და მერაბ ხაბაზმა ბედნიერი დამთხ-  
ვევის წყალობით, საქართველოს დამოუკიდებლობის  
დღეს, 26 მაისს დალაშქრეს ჩვენი პლანეტის „სახუ-  
რავი“. ამ ექსპედიციას ერქვა „საქართველო 3000“,  
რაც ჩვენი ქვეყნის 30-საუკუნოვან ისტორიაზე მიგვა-  
ნიშნებდა. სამწუხაროდ, ასეთი დიდი წარსულის მიუ-  
ხედავად, საქართველოს ბედუკულობათობამ ევერე-

სტზე ასვლა 30 წლით მაინც დააგვიანებინა ქართველ  
მთამსვლელებს. მართალია, ამ მწვერვალზე 12 მაი-  
სსაც ავიდნენ ექსპედიცია „მშვიდობიანი კავკასია 99“-  
ის წევრი საქართველოს მთამსვლელები აფი გიგანი,  
ბიძინა გუჯაბიძე, ლევ სარქისოვი, ბენო ქაშაკაშვილი  
(ხელმძღვანელი) და 1992 წელსაც გადმოიხედა იქი-  
დან თბილისელმა რომა გიუტაშვილმა, რომელიც რუ-  
სული ექსპედიციის წევრი იყო, მაგრამ 26 მაისს ასუ-  
ლი გუნდი მაინც წმინდა წყლის ქართული ექსპედი-  
ცია გახლდათ. ჩვენი დღევანდელი ფოტონარკვევიც  
სწორედ ამ ასვლაზე მოგიხრობთ.


# ქართველთა დღე ევერესტზე




იმ დღეს, უფრო სწორედ 26 მაისს  
ლამის 2 საათზე ქართველმა მთამსვლე-  
ლებმა და მათთან ერთად საერთაშორი-  
სო ექსპედიციის წევრებმა, რომლებსაც  
ერთდროულად ხელმძღვანელობდა გია  
თორთლაძე, 8300 მეტრიდან დაიწყეს მწ-  
ვერვალზე გადაწყვეტი იერიში, დედა-

მიწის უმაღლეს წერტილს კი დილით,  
10 საათსა და 30 წუთზე მიაღწიეს. მწ-  
ვერვალზე გადაღებულ ამ სურათზე აღ-  
ბეჭდილი არიან (მარცხნიდან): ირაკლი  
ციხისელი, მერაბ ხაბაზი, ირაკლი უგუ-  
ლავა და იტალიელი სერჯო მარტინი.  
თბილისელები 26 წლის ხაბაზი, 29 წლის

უგულავა და 39 წლის ქუთაისელი ცი-  
ხისელი საერთოდ პირველად იყვნენ პი-  
მალაის მთებში და „რეადასიანების“ და-  
პყრობა სწორედ დედამიწის უმაღლესი  
მწვერვალით დაიწყეს, 50 წლის მარტი-  
ნიმ კი ევერესტით გაასრულა დედამი-  
წის თოთხმეტევი რეადასიანზე ასვლა.




ეს ფოტოსურათი ჯერ კიდევ 19 აპრილსაა გადაღებუ-  
ლი. იმ დროს ჩვენს მთამსვლელებს მწვერვალამდე დროში  
აშორებდათ 37 დღე, სიმაღლეში დაახლოებით 1848 მეტრი,  
საერთო მანძილით გაცილებით მეტი 7-8 კილომეტრი და  
კიდევ ორი საიერიშო ბანაკი



ყველაზე ზემოთ რთული მონაკ-  
ვეთი ამ ადგილზე იყო, მწვერვალთან  
ახლოს, 8700 მეტრის სიმაღლეზე, რა-  
საც მთამსვლელები მეორე საფეხურს  
უწოდებენ. იქამდე ბევრი მთამსვლელი  
ადის, იმის ზემოთ — გაცილებით ცო-  
ტა წლებულს, 1 მაისს, სადაც იქ იპო-  
ვეს 1924 წლის ინგლისელთა ექსპე-  
დიციის წევრ ჯორჯ მელორის გვამი,  
რაზეც ამას წინათ ვწერდით.  
\*\*\*  
დედამიწის უმაღლესი წერტილი-  
დან ასეთი ზედი იშლება ჩრდილოეთით.



მწვერვალზე ასვლისას იდეალური ამინდი ყოფილა. როგორც თორთლა-  
ძემ გვითხრა, იგი ზღაპრული სილამაზის პანორამების გადაღებას ისე გაუტა-  
ცია, რომ ამ სურათზე ძლივს აღბეჭდილი მერაბ ნემსინვერიძე ლამის საერთოდ  
კადრს მიღმა დარჩენია. თუმცა, მერე იქვე უკეთესიც გადაუღია, რასაც ამ  
ექსპედიციისადმი მიძღვნილ სხვა მასალის გამოქვეყნებისას შემოგთავაზებთ.



თბილისის აეროპორტში ჩამოსვლისას გია თორთლაძემ თქვა, ჯომოლუნ-  
გმაზე ასვლა უფრო იოლია, ვიდრე მასზე მოსაწყობი ექსპედიციისთვის ფუ-  
ლის შოვნაო. ამიტომაც იგი ემადლიერება ყველას, ვინც ექსპედიციას ამოუღებ-  
მხარში, მათ შორის ფირმა „სანტეს“, ვის ხილის წვენსაც გია თორთლაძე  
უწევს რეკლამას დედამიწის უმაღლესი მწვერვალთან, სადაც ქუთაისელ მერაბ  
ნემსინვერიძესთან ერთად ნახევარი საათის მოგვიანებით ააღწია  
— ის ნახევარი საათი ჟანგბადის ბალონის უწყვეტივით გამო დაეკარგა —  
გვიამბობს თორთლაძე — მის აღმოსაფხვრელად მერაბი რომ არ დამხმარებოდა,  
იქნებ მწვერვალზე ვეღარც ავსულიყავი.



გია თორთლაძე და ჩვენი ექსპედიციის შერაბ მთამსვლელები — აპა  
შერაბა (მარცხნივ) და ნანგა დორჯი. აპა შერაბა მეთედ (ჩრდილოეთიდან პირველ-  
ლად) ავიდა ჯომოლუნგმაზე და გაიმეორა თანამემამულე ანგ რიტას მსოფლიო  
რეკორდი, დორჯმა კი პირველად გადმოიხედა იქიდან.

ამთანავე გურასაშვილი. ექსპედიციის წევრთა ფოტოები

ფინალი

სერიის ანგარიში

დალაში — გუფალო 0:1

პირველი მატჩი. 8 ივნისი

დალაში — გუფალო 2:3

1:0 0:1 2:0:1

10 პაილი 10'17 (6); 11 ბარსი 48'33 (5); 12 პრიმო 53'37 (3); 2:2 ლეპტინენი 59'11 (8); 2:3 ვული 75'30 (4)

დარტები: 37-24

საჯარიმო ნუთები: 8-20

პროლოგი უფალოში

ნამდვილი კომპარი, მოსაწყენი ფინალი, უფერული სანახაობა — როგორ აღარ ნათლავდნენ ფურნალისტები თასისთვის გადამწყვეტ პაქეობას. მაღლობა ლმერის, მათი წინასწარმეტყველება არ ახლა და პირველივე მატჩი იქნებ არცთუ სანახაობრივი, მაგრამ უაღრესად დრამატული და შინაარსიანი გამოდგა. მთავარი კი მწკრივების — დალასელი კენ ჰიჩკოკისა და ბუფალოელი ლინდი რაფის ტაქტიკური ბრძოლა გახლდათ.

პირველივე წუთიდან ნათელი გახდა, რომ რაფის შეგირდები უპირველესად საკუთარი კარის უსაფრთხოებაზე იზრუნებდნენ. მათ თითქოსდა გამოიწვიეს მეტოქე, მოდიო, შემოგვიტოეთ და ვნახოთ, რა გამოგვათო. ჰიჩკოკის სანაქებოდ უნდა ითქვას, რომ მან გამოიცილა მოწინააღმდეგის ჩანაფიქრი და თავის ბიჭებს, წინა სერიებისგან განსხვავებით, მეტი თავისუფლება მიანიჭა, ბუფალოელთა ზონაში აგრესიული და აქტიური მოქმედებისკენ მოუწვია. ასე იყო თუ ისე, მასპინძელთა შემტევმა განწყობილებამ სტუმრების დაბნობა, აანერგა და აიძულა, ეუნებათ. პირველივე დაჯარიმება საბედისწერო აღმოჩნდა „ხმლებისთვის“ — დალასელებმა სწრაფად გაითამაშეს შაბი და ბრეტ ჰალმა უძლიერესად გაისროლა. ამასვე შემდეგ პატრიკის ოთხწუთიანი გაძევ-



# სერია სერით დაიწყო

რალა ეთქმით ჰოკეის ქომბაგებს. პლეი ოფის ბოლო სამი ფინალისგან განსხვავებით, დასავლეთის კონფერენციის გუნდები უმოწყალოდ ვეღარ ჩაგრავენ აღმოსავლელ მეტოქეებს. ჯეისონ ვულის მიერ ოვერტიმში გატანილმა გოლმა აღმოსავლეთს 1995 წლის შემდეგ პირველი გამარჯვება მოუტანა თასის ფინალში. რით უპასუხებს ამას დასავლეთი? ერთი სიტყვით, სერია უაღრესად საინტერესოდ დაიწყო.



ბუფალოელი ჯეისონ ვული და დალასის კარში გატანილი მისი შაბი

ბა მოყვა, რომლის განმავლობაშიც სტუმრებმა გვარიანად ღვარეს სიმწარის ოფლი. თავად განსაჯეთ: დომინიკ ჰაშეის კართან სიტუაცია ისე დაიბა, „დომინატორმა“ ყვანჯი დაკარგა და ნახევარ წუთს (!) ვეღარ მოიხელთა იგი. შაბის ამის მერეც არ დაუტოვებია სტუმართა ზონა და პირველ მეტოქეში ბუფალოელებმა მხოლოდ ერთხელ შექმნეს ხიფათი დალასელთა კართან.

სურათი არც მეორე პერიოდში შეცვლილა. მასპინძლები უფრო მძლავრობდნენ და სისწრაფეშიც კი სჯობნიდნენ სტუმრებს, რაც სწორედ ბუფალოელთა კოზირად ითვლება. ჰიჩკოკის მიერ დამოძღვრული ტენასელები მეტოქის ზონაში თითქოს ყველაფერს სწორედ აკეთებდნენ, შედეგისდაგვარად ურტყამდნენ და კარის სახლოვეს განმარტული მოძრაობით ჰაშეს თავს უზენდნენ, მაგრამ

გოლი არ გადიოდა. ცხადი გახდა, რომ დალასელებს რაღაც აკლდათ, რის გამოც ხელსაყრელ მომენტებს შედეგადან ვერ აგვირგვინებდნენ. ასე იყო თუ ისე, „გარსკვლავები“ იგებდნენ და კაცმა რომ თქვას, ბუფალოს უფრო უნდა შეეწუხებინა თავი, მაგრამ ისევე როგორც პირველ მეტოქეში, სტუმრები ეპიზოდურად თუ შეუტყდნენ და ვეღარ გულგრილდნენ მხოლოდ ერთი-ორჯერ ჩართეს თამაშში.

ყველაფერი თავდაყირა

დაიწყო მესამე პერიოდი, რეალური თუ ისე მშვიდად ირგვლიან დაიქანდა შაბი. გასაქეითი არ ჰქონდა ბუფალოელთა ივლო და მან, უტყობა მასპინძლები მოაღწია. აი, აქ გამოჩნდა რაფის გონიერება. მისმა გუნდმა იფეთქა და სულ რაღაც 78 წამში ყველაფერი თავდაყირა დააყენა. ბუფალოელებმა ორი მომენტი გაუშვეს ხელიდან, მესამე კი — აღარ. ვო ჟონოს დიდებული პასით სტოუ ბარსმა ანგარიში გაათანაბრა. ცოტაც და „ხმლები“ მეოთხედ აღმოჩნდნენ რიცხვმრავლობაში, წინა, უიღბლო ცდებიდან განსხვავებით, ეფექტურად გაათამაშეს შაბი და კარის სახლოვეს გაზადებულ ბრძოლაში უიღბრიომ ყველას დაასწრო. 2:1 და დალასს უჭირს მღვთმარობის გამწვავება. ის კი არა, ისევ ბუფალო უტყვეს — 57-ე წუთზე ვაკ სანდერსონს რომ ეყოჩაღა, მისი გუნდი საქმეს საბოლოოდ მოითავებდა. ამისთვის ბუფალო დაისაჯა: ძირითადი დროის დამთავრებამდე წუთნახევრით ადრე, მოედნის შუაგულში შაბის ჩაგდებისას, ჰიჩკოკმა გარისკა, მეკარე მეექვსე მოთამაშით შეცვალა და ბუფალოელთა კაპიტნის, მაიკ ჰეკას უხეში შეცდომის შემდეგ იერე ლეპტინენმა თამაში ოვერტიმში გადაიყვანა.

ჰულის ნაბიჯი

და მაინც, ოვერტიმში, რომელიც თავად მატჩზე არანაკლებ საინტერესო გამოდგა, ბედმა ბუფალოელებს გაუღია. მასპინძლებმა კიდევ ორჯერ ვერ გამოიყენეს რიცხვმრავლობა (სულ 10-ჯერ ჰქონდათ რიცხობრივი უპირატესობა), რასაც ბუფალოს მორიგი საფრთხი კონტრშეტევა მოჰყვა და... არაქათგამოცლილი, მაგრამ ბედნიერი ჰაშეი ყინულზე გაწვა.

ერთი სიტყვით, ბუფალომ შესარულა პროგრამა-მინიმუმი (ორი საგარეო მატჩიდან ერთის მოგება) და სერიაში ბრძოლა კიდევ უფრო გააძვევა.

სამხელ ღარიბიანი

ცურვა

## შარდის პოპა პუზის ფონზე




მიშელ სმიტ-დე ბრუინი

ცურვაში ირლანდიელი სამგზის ოლიმპიური ჩემპიონის მიშელ სმიტ-დე ბრუინისკარიერა ხმაურით გადამარჯვების ნაცვლად, ყურისთვის თუ ცხვირისთვის არცთუ სასამოვნო შარდის ეპოპით დასრულდა.

დე ბრუინი, რომელიც ატლანტის ოლიმპიადებზე წარმატების შემდეგ შინ მობრუნდა, მარაგანდომილი დაბრუნდა, 1997 წლის ოქტომბერში დოზინგის ხმაურში გამოიჭირეს — შესამოწმებლად ახარებულ შარდის სინჯში დიდი რაოდენობის ალკოჰოლი აღმოჩნდა, მერე კი, გაურკვეველ ვითარებაში, ეს სინჯი ვიღაცამ სულაც შეცვალა. მიუხედავად იმისა, რომ თავად მოსწავლე ყოველგვარ ბრალდებებს თავიდან ბოლომდე უარყოფდა, შარდის სინჯის შემოწმებისას, საბოლოო რეზულტატის საფუძველზე ფედერაციამ (FINA) იგი ბოტრადან ოთხი წლით მოკვეთა. დე ბრუინმა პასუხად სპორტის საბოტრადო სასამართლოს (OAS) ლონდონში აპელაცია აახლა და გამართობა სთხოვა. ისტორიაში პირველად, ისინი, ჩატრად ღია სასამართლო პროცესი, თუმცა საბოლოო გადაწყვეტილების გამოტანა აქამდე დაკვირვდა. ირლანდიელი მოცურავისთვის სამედიცინო სასამართლომ განაჩენი ძალიან დატოვა: „არბიტრატორებს მიაჩნიათ, დე ბრუინმა ვერ დაარწმუნა ისინი იმაში, რომ: 1 ტესტირებული სინჯი მისი არ იყო; 2 ისინი მესამე მატჩზე შეცვალა შედეგების გასაყვალად. ამისი მოტივი და შესაძლებლობა მხოლოდ ბრალდებულს ჰქონდა.“ ერთი სიტყვით, 29 წლის მიშელის ბოტრადო კარიერისთვის ოთხწიანი დასჯილიყვაცია ჰქმნარტიდა სასი-

## მარკო პანტანი: სოფილი თუ უსოფილი? იტალიელებს სალაპარაკო მიეცათ რეჟიონალურ სპორტულ უკვე



ლორილ დეა, სეზონის სამი უმთავრესი ტურნირისგან, პირველი, „ჯირო დიტალია“ დასრულდა. ველოსპორტებმა მთელი იტალია გადასერეს და გამარჯვებულის ვინაობაც რამდენიმე ეტაპით ადრე გაარკვეეს, ველოსპორტში ოდნავ მაინც ჩახველი ადამიანისთვის არანაირ ეჭვს არ იწვევდა მარკო პანტანის (იტალია, მერკატონე უნი) ზედიზედ მეორე ჯიროლული ჩემპიონობა. თუმცა ბოლოსწინა, 21-ე ეტაპის წინ მოქმედებდა ცაზე მეხის გავარდნასავით გაისმა „ილ პირატის“ დისკვალიფიკაციის ამბავი. პანტანის სისხლის ანალიზმა ჰემატოკრიტიკის ნორმაზე მაღალი დონე აჩვენა და მასაც 15-დღიანი იძულებითი შესვენება მიუსაჯეს.

ამ საქმეს ევროპულ პრესაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა. ახლა ვთავაზობთ იტალიური გაზეთების მცირედ მიმოხილვას.

„პანტანი, არ დანებდე“ — ასე დაასათურა „კორიერე დელა სერა“ თავისი სტატია, რომელშიც ლაპარაკია იმაზე, რომ გამარჯვებულ პანტანის სპორტიდან წასვლა ვადა-უწყვეტია. თუმცა მისი გუნდის, „მერკატონე უნი“ თავკაცს ამის გაგონებაც არ სურს და „მეკობრის“ „სტურ დე ფრანსი“ მონაწილეობა ამოუჭრია გულში.

ველოსპორტისთვის დათმობდ ოთხ გვერდზე უამრავი ადამიანის ინტერვიუ თუ კომენტარი გამოქვეყნდა. სენატორმა გევი კალვიმ განაცხადა, რომ ანტიდოპინგურ კანონზე უკვე სამი წელია მუშაობს; სპორტის მინისტრმა გოვანა მელანდრიმ კი თქვა, რომ აღნიშნული კანონპროექტი ქვეყნის უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოს უკვე წარუდგინა დასამტკიცებლად.

ტურინში გამოძველი ყოველდღიური გაზეთი „ლა სტამპას“ ასეთი სათაური აქვს: „პანტანის ანალიზების სისწორე საეჭვოა“, ავტორი წერს, რომ ტრენტის (ჩრდილო იტალია) პროკურატურამ გამოძიებაც კი დაიწყო ამასთან დაკავშირებით შესაძლო მანიპულაციების გამოსაყენებლად.

რომაული გაზეთი „ლა რეპუბლიკა“ ამტკიცებს, რომ ანალიზები ნამდვილია და არანაირ ეჭვს არ იწვევს. „დაუსჯელი დევატა“ — ასე ჰქვია სარედაქციო წერილს. „რატომ ფიქრობდა პანტანი, რომ იგი კანონზე მაღლა იდგა, ანდა მისი გადაკეთება შეეძლო? ალბათ, ის დარწმუნებული იყო თავის ღვთაებრიობასა და შესაბამისად დაუსჯელობაში“ „წიგნები პანტანიზეც ისევე მოქმედებს, როგორც სხვებზე“ — აცხადებს „ლა რეპუბლიკას“ ფურცლებიდან ძველი მრბოლი ფრანჩესკო მოზერი.

„გაცოფებული პანტანი“ — ასეთია „ტურტოსპორტის“ სათაური, ქვესათაურად კი „მეკობრის“ სიტყვებია გამოყენებული: „ნერვებს მიშლის პასუხისგება შეცდომაზე, რომე-



მარკო პანტანი: ველოსპორტი ჩემთვის აღარ არსებობს

სარბიელი



REUTERS კვებეკიდან



# კვებეკელი ხარ უნდა და მისა...

შორეულა 1-ის მრბოლი, უკ ვილნევი კანადის პრემიერ ლუსიენ ბუშარს ელაპარაკება. ამ განთქმულ კაცებს ის აერთიანებთ, რომ ორივენი კვებეკელები არიან. კვებეკი კი კანადაში ივივება, რაც ჩვენში... მოგლედ, ორივე ცდილობს, სახელი გაუთქვას მშობლიურ კვებეკს. რა თქმა უნდა, სამოქალაქო საზოგადოებისთვის ჩვეული ხერხებით.

# საპერდოვანი ჯოხი

ბოლო წლებში ერთმანეთს მომძლავრებული „ოტავა სენატორის“ ქომაგები წლევანდელ პლეი ოფზე დიდ იმედებს ამყარებდნენ, მაგრამ მათმა საყვარელმა გუნდმა პირველივე რაუნდში გაუქრო ილუზიები (ბუფალოსთან სერია 0:4 დამთ). ასეთ შემთხვევაში საკადრო ცვლილებები გარდაუვალია. გუნდის მფლობელ როი მლაკარს მწვრთნელ უკ მარტენსა და გენერალურ მენეჯერ რიკ დადლის შორის ერთ-ერთი უნდა გაეშვა. მანაც ჯოხი უკანასკნელს გადაამტვრია. ყველაფერი ცივილიზებულად, უხმაუროდ მოხდა და ყველა კმაყოფილი დარჩა. დაღლილ ტამპაში გადაინაცვლა იმავე თანამდებობაზე, ხოლო მისი ადგილი ყოფილმა ასისტენტმა მარშალ ჯონსტონმა დაიკავა. ახალგაზომცხვარი გენერალური მენეჯერის თქმით, რომელიც მეოთხე წელია, ოტა-

ვაში მუშაობს, მას აქამდე ბრწყინვალე ურთიერთობა ჰქონდა როგრც მარტენთან (სურათზე მარცხნივ), ისე მლაკართან (მარჯვნივ).

მისი სიტყვების სიმართლეზე ეს სურათიც მეტყველებს. ოტაველ ჰოკეისტთა ახალი მმართველი სამეული ძალიან შინაურულად გამოიყურება.



REUTERS ოტავადან



ესპანეთი 27:17 ბრაზილია  
ღანი 24:32 კუბა  
გვინეა 24:22 ტუნისი  
გერმანია 28:17 ალჟირი

ჩემპიონატი  
მსოფლიო ჩემპიონატი  
მსოფლიო ჩემპიონატი

რუსეთი 31:23 კორა  
სოვიათი 23:30 იუგოსლავია  
საფრანგეთი 24:23 უნგარი  
შვედეთი 33:26 ნორვეგია



გერმანია — ალჟირი. გერმანელი შტეფან კრეცმარის (№5) შეჩერება ალჟირელ მცველებს ძალიან უჭირდათ

**ესპანეთი**  
თაისის ნახევარფინალის I მატჩი  
ვალენსია 6:0 რეალი  
1:0 ვ. ლოპესი (19), 2:0 როჩე (31), 3:0 ვლაოვიჩი (33), 4:0 როჩე (42), 5:0 ანგულო (54), 6:0 მენდიეტა (71)

**EURO 2000**  
ახალგაზრდული ჩემპიონატი  
II ჯგუფი  
პოლანდია 5:1 კვიპროსი  
1:0 ბრუგინი (12), 2:0 ვან ბომელი (54), 3:0 ვანენგორი (56), 4:0 მუსტაფა (58), 5:0 დე იონგი (83), 5:1 ხაგისი (88)

**შვედეთი**  
IX ტური  
ელვსაგორგი 2:1 იუგარადინი

იორგრიტი 3:0 კალმარი  
ჰალმსტადი 5:1 იორგარო  
გალშიო 0:0 ნორვიკინგი

# ის ჰო, მაგრამ ეს ომი არ დამთავრდება

REUTERS მანჩესტერიდან



პაკისტანისა და ინდოეთის სამხედრო უთანხმოებებს ბოლო რომ არაფრით მოეღო, პოლიტიკის მოყვარულებმა კარგად იცნან. ეს რთული საქმე რომც მოგვარაჩინდეს, ამ ორი ქვეყნის მოკრივეტითა ომს არასოდეს მოეღება ბოლო. ჰოდა მანჩესტერის „ოლდ ტრეფორდის“ საკრივეტო მიწაზე ინდური და პაკისტანური ფანობაც გადმოცვენილან და ერთმანეთს დარევიან, გასაკვირიც არაა — ინდოეთს პაკისტანი უძლევი ექვსმატჩა შეხვედრამი.



**სარბიელი**  
საორტული გაზეთი  
გამოიცემა 1990 წლის  
28 დეკემბრიდან  
გამოდის სამუშაოს,  
ოთხშაბათს, ხუთშაბათს,  
პარასკევს და შაბათს

მთავარი რედაქტორი ზურაბ შოცხვერია  
დირექტორი გიორგი მარტენიძე  
რედაქტორი თამაზ მიხრიაული  
მთავარი რედაქტორის მოადგილეები ილია ბაბუნაშვილი  
ავთანდილ გურასაშვილი  
ფეხბურთის რედაქციის რედაქტორი ვახტანგ ბუჩქაძე  
ინფორმაციის რედაქციის რედაქტორი სოსო კობახიანი  
ტექნიკური რედაქტორი ზურაბ ხელაშვილი  
კალათბურთის განყოფილების გამგე მერაბ რატიშვილი  
ფეხბურთის რედაქცია. ქართული განყოფილება კონსტანტინე  
გოგიშვილი, სოლომონ გულიასვილი, გიორგი ვაშაყიძე, კობა  
ინასარიძე, მამუკა კვანტალიანი, პატა კვანტალიანი, ხეჩა სანიკიძე

უცხოური განყოფილება ლაშა გოდუაძე, დავით კოვიციანი, ვანო  
ოქროპირიძე, ონიკე შინჯიკაშვილი; ინფორმაციის რედაქცია ირა-  
კლი თავაძე, გაიოზ თალაკვაძე, პატა თოთაძე, ლევან კელაუაძე,  
აეთანდლე სვანიძე; კალათბურთის განყოფილება ვიო ახვლე-  
დიანი, ვიორგი ბიკაშვილი, კორესპონდენტი ქუთაისში იუზა  
კაციტაძე ფოტორეპორტიორები გურამ ლოლენჯაშვილი, ბადრი  
კეთილაძე სტილისტები მათა აბზიანიძე, ნათელა გიორგობიანი,  
ლალი გოზალიშვილი კომპიუტერული ცენტრი ელენე გელუტა-  
შვილი, სვეტა დევაძე, კახა თალაკვაძე, ტრისტან კახურაშვილი,  
ნინო კედელაშვილი, დავით ნადირაშვილი, მარიკა ტაბიძე, თენგიზ  
ფოფხაძე, თამარ შიოლაშვილი, ვიორგი ხარატიშვილი, ბელა  
ხატიაშვილი გამომშვები ზურაბ ინაშვილი

რედაქციის მისამართი:  
თბილისი,  
ალექსანდრე ყაზბაგის  
ბაზარი 42, II კორპუსი,  
IV სართული.  
საზოგადოებრივი მისამართი:  
თბილისი — 79,  
საზოგადოებრივი ყუთი 208.  
ტელეფონი: 39 48 29